საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

საქართველოს ტელემაუწყებლობის ანალიზი

აგვისტო 2012

USAID
ამერიკელი ხალხისგან
IREX
Make a Better World

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
თბილისი, 2012 წლის აგვისტო

ანგარიშის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:
http://transparency.ge/telemautsqeblobis-analizi

G-MEDIA-ს პროგრამა ხორციელდება ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით.
წინამდებარე დოკუმენტის შინაარსი და მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" და არ ასახავს აშშ-ის მთავრობის, USAID-ის ან IREX-ის შეხედულებებს.

ძირითადი დასკვნები

- ქართულ ტელესივრცეში პოლიტიკა დომინანტური თემაა. როგორც მთავრობა, ისე ოპოზიცია ცდილობს, თავის გავლენის სფეროში იქონიოს ტელეარხები და ძირითადი საშუამავლო კომპანიები, რომელთა საშუალებითაც მაუწყებლები თავიანთ აუდიტორიას აწვდენენ ხმას. ტელემაყურებელთა უმეტესობა ყველა ტელეარხს აღიქვამს, როგორც ან მთავრობის ან ოპოზიციის მომხრეს. არცერთი ის არხი, რომელიც ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებს, აუდიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ პოლიტიკურად დამოუკიდებელ ერთეულად არ აღიქმება. (იხ. გვ. 39)
- ბოლო თვეებში ტელევიზიის სექტორში სტრატეგიული პოზიციის მქონე რამდენიმე კომპანია, მათ შორის ისინიც, ვინც ტელეარხებსა და მათ აუდიტორიას შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებს, დიდ სირთულეებს გადააწყდა: ჟურნალისტური გამოძიების წამყვანი სტუდია „მონიტორის“ ოფისი გაძარცვეს, წაიღეს აპარატურა; ვიდეოაპარატურისა და მომსახურების კომპანია „ვიდეოსკოპი“, რომლის კლიენტთა შორის არის “TV9” და „ქართული ოცნება“, საგადასახადო აუდიტის შედეგად დააჯარიმეს; „მაესტროს“ და მომსახურების პროვაიდერი კომპანია „Global TV”–ის ათიათასობით სატელიტური ანტენა დააყადაღეს, აბრალებდნენ რა ამომრჩეველთა მოსყიდვას; „Global TV”–მ და „TV9“–მ განაცხადეს, რომ მათ მიერ იმპორტირებული ტექნიკური აღჭურვილობა დაზიანებულ იქნა საბაჟოზე ყოფნისას; ტრანსლაციის ინფრასტრუქტურის და მომსახურების პროვაიდერ კომპანია „სტერეო+“–ს, რომლის კლიენტთა შორის არის „TV9”, სამაუწყებლო ლიცენზია შეუჩერეს. (გვ.15–20).
- პრო–მთავრობისეული არხები „იმედი“ და „რუსთავი 2“ კვლავაც ყველაზე პოპულარული არხებია როგორც საინფორმაციო გამოშვებების, ისე მიმდინარე მოვლენების გაშუქების თვალსაზრისით (გვ. 8–10). 1–ლი არხის, „კავკასიის“ და „მაესტროს“ მაყურებელთა რაოდენობა 2011 წლის შემდეგ გაიზარდა. (გვ. 6–7) შეზღუდული ტექნიკური წვდომა და აუდიტორიაზე გასვლა კვლავ უდიდეს გამოწვევად რჩება იმ არხებისთვის, რომელთაც არ აქვთ სახმელეთო მაუწყებლობის ლიცენზია (გვ.10). არჩევნების წინ სავალდებულო და აუცილებელი წესების შემოღება მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯია, რადგან მოსახლეობის მეტ ნაწილს აძლევს საშუალებას მიიღონ იმ არხების ინფორმაცია, რომლებიც მთავრობისადმი კრიტიკულნი არიან. (გვ.15).
- პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ციფრულ სახმელეთო მაუწყებლობაზე გადასვლა პრიორიტეტი უნდა გახდეს. ამ დროს სატელიტური ტელევიზიის როლი იზრდება ახალი პროვაიდერების ხარჯზე; სავალდებულო შეთავაზების (Must Offer) – ის წესმა შესაძლებლობა მისცა პროვაიდერებს თავიანთ მომხმარებლებს უფრო მრავალფეროვანი პაკეტები შესთავაზონ. (გვ. 15–20).
- რამდენიმე რეგიონული ტელეარხი შედარებით მაღალი ნდობით სარგებლობს. ბევრი ადამიანი ინფორმაციის მისაღებად თავისი ქალაქის ადგილობრივ არხს მიმართავს. (გვ. 36–37)
- მაუწყებლობის შესახებ კანონის ცვლილებებმა, რომლებითაც ლიცენზიის მფლობელებს მოეთხოვათ ბენეფიციარი მფლობელის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ტელევიზიის მფლობელობის გამჭვირვალობა (გვ.26–31).
- ტელეარხების ფინანსები უფრო გამჭვირვალე გახდა. 2012 წლის პირველ 4 თვეში „იმედის“ და „რუსთავი 2–ის“ ანგარიშგებაში ასახული შემოსავლები 2011 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა. შედარებით მცირე არხებმა, მათ შორის „მაესტრომ“, „კავკასიამ“, 25–ე არხმა 2011 წლის იმავე პერიოდთან შედარებით

მნიშვნელოვნად მეტი სარეკლამო შემოსავალი მიიღეს. (გვ. 31–35), რისი წყაროც ძირითადად „ქართული ოცნების“ სარეკლამო ხარჯები იყო.

რეკომენდაციები:

- მთავრობამ და ახალმა პარლამენტმა, რომელსაც 2012 წლის ოქტომბერში აირჩევენ, პრიორიტეტად უნდა მიიჩნიოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიის შემუშავება და სამოქმედო გეგმის გამოქვეყნება. მთავრობამ ამ პროცესისთვის მოსამზადებლად და მისი კოორდინაციისთვის ინკლუზიური კონსულტაციის პროცესი უნდა დაიწყოს, რომელშიც ყველა დაინტერესებული მხარე მიიღებს მონაწილეობას. მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნება საჭირო, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ საქართველო თავს გაართმევს საერთაშორისო ვალდებულებას – 2015 წლის პირველი ნახევრისთვის გადავიდეს ციფრულ სახმელეთო მაუწყებლობაზე.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, პროკურატურამ და სასამართლომ უნდა უზრუნველყონ, რომ მედიასაშუალებებთან, ასევე იმ კომპანიებთან დაკავშირებული გამოძიება, რომლებიც მედიასაშუალებებსა და მედიის მომხმარებლებს შორის შუამავლის როლს ასრულებენ, სამართლიანად და გამჭვირვალედ წარიმართება. მედიასაშუალებებისა და მედიის მომხმარებელთა მიმართ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი უნდა იყოს პროპორციული და სიფრთხილით გადადგმული, რათა არ შეილახოს მედიის თავისუფლება და მოქალაქეთა უფლება, მიიღონ ინფორმაცია. მედიის სექტორის კომპანიები პასუხს უნდა აგებდნენ თავიანთ ქმედებებზე და არ უნდა დადგნენ კანონზე მაღლა. მათ წინააღმდეგ გატარებული ნებისმიერი ქმედება შესაძლოა პოლიტიკურად მოტივირებულად იქნას აღქმული. ხელისუფლებას შეუძლია ამ მოსაზრებებზე რეაგირება გამოძიებისთვის ყველა გამოსადეგი მტკიცებულების წარდგენით და გამოძიების პროცესის სამართლიანად და გამჭვირვალედ წარმართვის უზრუნველყოფით.
- ჟურნალისტებსა და მედიის მუშაკებზე ნებისმიერი სახის თავდასხმა, საბოტაჟი ან მათი მოვალეობების შესრულებაში ხელის შეშლის ინციდენტები ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გამოიძიოს და შესაბამისი მომდევნო ქმედებები გაატაროს.
- კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, დაინტერესებულმა მხარეებმა და სამოქალაქო საზოგადოებამ სათანადო მეთვალყურეობა უნდა გაუწიონ აუცილებელი და სავალდებულო წესების(Must Carry/Must offer) შემუშავებას წინასაარჩევნო პერიოდში. ამ წესების მოქმედების პერიოდში მათი ეფექტი უნდა შეფასდეს, რის შემდეგაც პოლიტიკის შემქმნელებმა და კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სერიოზულად უნდა იფიქრონ ამ წესების სამუდამოდ დამკვიდრებაზე, რაც შექმნის წინაპირობას, რომ მათი მოქმედება არჩევნების დღის შემდეგაც გაგრძელდეს.
- საკაბელო ოპერატორებმა საკუთარი ნებით უნდა განაგრძონ იმ არხების თავიანთ პაკეტებში შეტანა, რომელთაც წინასაარჩევნო პერიოდში აუცილებლის სტატუსი ექნება მინიჭებული იმის შემდეგაც, რაც არჩევნების წინა დღეს დროებითი წესის მოქმედება შეწყდება, და თავი შეიკავონ თვითცენზურისგან, ანუ მთავრობის მიმართ კრიტიკული არხების არ-ჩვენებისგან. კრიტიკული არხების ამოღებამ საკაბელო პაკეტებიდან არჩევნების დღეს შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური დესტაბილიზაცია, რადგან მომხმარებლებმა შეიძლება იგრძნონ, რომ ინფორმაციას მოსწყვიტეს.
- მომხმარებლებმა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა უნდა დააინტერესონ საკაბელო ოპერატორები, რათა ისინი უფრო მგრძნობიარე და მოქნილი გახდნენ

მომხმარებელთა მოთხოვნებისადმი. ეს კი მომსახურების პროვაიდერებს სტიმულს მისცემს, კლიენტებს კვლავაც პლურალისტული პაკეტები შესთავაზონ, სავალდებულო წესის ვადის გასვლის შემდეგაც კი.

- ახალმა პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს წინადადება აჭარის ტელევიზიისთვის სტატუსის შეცვლის შესახებ და შესაძლებლობისამებრ შეუერთოს არხი საზოგადოებრივ მაუწყებელს. აჭარის ტელევიზიის მიერ გამოყენებული სიხშირეები უნდა გაუნაწილდეს საზოგადოებრივ მაუწყებელს და/ან კონკურენტული პროცედურის გავლით გადაეცეს დაინტერესებულ კერძო ტელეარხებს.
- ლიცენზიის მფლობელთა მესაკუთრეებისა და მათი ფინანსების გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უნდა იფიქროს მარტივად გამოყენებადი მონაცემთა ბაზის შექმნაზე, რომლიდანაც იგი თავის ვებგვერდზე რეგულარულად და პროაქტიულად გამოაქვეყნებს ფინანსურ მონაცემებს (ამჟამად გაიცემა თხოვნისამებრ) და ინფორმაციას მფლობელთა შესახებ დოკუმენტები კი არის ხელმისაწვდომი მხოლოდ ონლაინ რეჟიმში.
- ტელეარხებმა და მათმა ხელმძღვანელობამ, პროდიუსერებმა, რეპორტიორებმა და მედიის მუშაკებმა მიზნად უნდა დაისახონ თავიანთი აუდიტორიისთვის მიმდინარე მოვლენების სამართლიანი, პროფესიონალური და მიუკერძოებელი გაშუქება არჩევნების წინა პერიოდში და თვითრეგულირების მექანიზმების, მაგალითად ეთიკის კოდექსის და მაუწყებელთა ქცევის ნორმების შესაბამისად მოქმედება.
- ტელეარხებმა უნდა იფიქრონ თავიანთ ვებგვერდებზე ფინანსური მონაცემების გამოქვეყნებაზე, რაშიც თავიანთ წვლილს მფლობელებიც შეიტანენ. თუ ფინანსური შესაძლებლობა ექნებათ, თავიანთი ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის მოიწვიონ დამოუკიდებელი აუდიტორი. მედიასაშუალებებმა ფინანსური გამჭვირვალობა უნდა გამოიყენონ აუდიტორიასთან და დაინტერესებულ მხარეებთან ნდობის მოსაპოვებლად.
- საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა გაატაროს ღონისძიებები, რათა გაამყაროს თავისი იმიჯი და იგი აღიქვან, როგორც ჭეშმარიტად პოლიტიკურად დამოუკიდებელი საინფორმაციო ორგანიზაცია, რომელიც ქართველ ხალხს ემსახურება და არა მთავრობას. ამისათვის, მაუწყებელმა უნდა დაუთმოს ადგილი საგამოძიებო რეპორტაჟებს. ასევე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა აჩვენოს, რომ ზრუნავს მომხმარებლის ინტერესებზე, რომლებიც დაზარალდნენ კერძო სექტორთან ურთიერთობისას. გარდა ამისა, მაუწყებელმა უნდა გადადგას რეალისტური ნაბიჯები ტექნიკური წვდომის გაზრდისკენ და ტექნიკური პლატფორმების ფართო სპექტრის საშუალებით რაც შეიძლება ბევრ ქართველამდე მივიდეს; ამავდროულად, იმუშაოს იმაზე, რომ აუდიტორიის წინაშე უფრო მეტად პასუხისმგებელი და ეფექტური გახდეს.

შესავალი

საქართველოს ტელემაუწყებლობა კვლავ მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკასთან. 2012 წლის ოქტომბრის მოახლოებული არჩევნების წინ, ტელევიზიის სექტორში მიმდინარე მოვლენები საქართველოს მკვეთრად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოს ასახავს. ყველა ძირითადი არხი, რომელიც მიმდინარე მოვლენებს აშუქებს, ან მთავრობის ბანაკს ეკუთვნის, ან, გარკვეული ნიუანსებით, მთავრობის შეცვლას და ოპოზიციას უჭერს მხარს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ 2009 წლის ანგარიშში აღნიშნა ბევრი ტელეარხის ფარული მფლობელობის შესახებ, რომელთაც, იმ დროისათვის ოფშორული კომპანიები ფლობდნენ.[1] მედიის რეგულირებაში მომხდარი ძირეული გაუმჯობესების შემდეგ, ის, თუ ვინ ფლობს და აფინანსებს საქართველოს მაუწყებლებს, ძირითად საკითხს აღარ წარმოადგენს. ამჟამად პოლიტიკური დებატების თემაა, თუ როგორ უნდა მოხდეს იმის უზრუნველყოფა, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს ჰქონდეს როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი წვდომა იმ არხებზე, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებებსა და მოსაზრებებს ახმოვანებენ. 1 ოტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე სავალდებულო ტრანზიტის (must carry) დროებითი შემოღება სწორი მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ეს წესი საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილება იქნება და საკაბელო ოპერატორებს მოსთხოვს, ლიცენზირებული ტელეარხები თავიანთ პაკეტებში შეიტანონ.

აპრილში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ იმ სატელევიზიო სადგურებს, რომლებიც პროგრამებს ეთერში საკაბელო ქსელის საშუალებით უშვებენ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, ტელეკომების და მაუწყებლობის მარეგულირებლის ლიცენზია აღარ დასჭირდებათ.[2] სატელევიზიო არხებს (ან სატელიტური მომსახურების პროვაიდერებს) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ლიცენზია ჯერ კიდევ სჭირდებათ სატელიტური დამაკავშირებელი ხაზებისთვის, თუმცა ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ რომელიმე მათგანს ნებართვაზე უარი მიეღოს.

2000-იანი წლების შუა პერიოდის შემდეგ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (GNCC) არ გაუცია გენერალური სამაუწყებლო ლიცენზიები იმ სახმელეთო სტელევიზიო მაუწყებლობაზე, რომელსაც ნებისმიერი ოჯახი ჩვეულებრივი ანტენით მიიღებს. საქართველო ჩაერთო საერთაშორისო შეთანხმებებში, რომელთა თანახმადაც 2015 წლის ივნისისათვის იგი ციფრულ სახმელეთო მაუწყებლობაზე გადავა. ამის მიუხედავად, მთავრობამ ჯერჯერობით ვერ შეძლო ამ ხანგრძლივი და რთული გარდამავალი პროცესის შესახებ სტრატეგიის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის გამოქვეყნება. ინკლუზიური მომზადებისა და კონსულტაციის პროცესი ჯერ არ დაუწყია. ამასობაში, დრო კი ნელ-ნელა იწურება და ბოლო ვადა ახლოვდება. მხოლოდ ციფრულ სახმელეთო მაუწყებლობაზე წარმატებით გადასვლის შემდეგ გამოჩნდება მეტი რესურსები და მეტი ტელეარხი შეძლებს ერთმანეთს კონკურენცია გაუწიოს მაყურებლის მისაზიდად.

---

[1] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ (2009): ტელევიზია საქართველოში - მფლობელობა, კონტროლი და რეგულირება http://www.transparency.ge/en/content/television-georgia-%E2%80%93-ownership-control-and-regulation.

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 11 აპრილი, 2012, http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=688&action=show.

მანამდე კი განაწილების სისტემებსა და მაშასადამე, მაყურებელზე წვდომა დროდადრო დავის საგანი ხდება და ამ საკითხს უყურებენ, როგორც პოლიტიკურს და არა როგორც ბაზრის დინამიკას. ერთი მხრივ, ამ სფეროში მოღვაწე ძირითად კომპანიებს, მათ შორის საკაბელო ტელევიზიებსა და სატელიტურ ოპერატორებს ძალაუფლების ერთგვარი ბერკეტი უკავიათ და მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ იმაზე, თუ რამდენ ოჯახს შეუძლია მიიღოს კონკრეტული ტელეარხი. მეორე მხრივ, რამდენიმე კერძო ტელეარხის კოორდინირებულ გადაწყვეტილებას, მხარი დაუჭირონ ან ბოიკოტი გამოუცხადონ რომელიმე კონკრეტულ პროვაიდერს, შეუძლია განსაზღვროს ამ კომპანიის ბედი: წარმატება ან კრახი.

ტელევიზია და პოლიტიკა

ტელევიზია მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ რჩება. თბილისში მოსახლეობის 80% ახალი ამბების მოსასმენად პირველად ტელევიზორს რთავს. დედაქალაქის გარეთ მოსახლეობის 92% მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მთავარ წყაროდ ტელევიზიას ასახელებს .[3] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის 2011 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 94%-მა აღნიშნა, რომ მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას ყოველდღიურად, ან კვირაში რამდენიმეჯერ, ეროვნული არხების საშუალებით იგებენ.[4] 2011 წელს, ქართველები ტელევიზორს დღეში საშუალოდ 253 წუთი უყურებდნენ.[5]

შეხედულებებისა და საზოგადოებრივი დებატების ჩამოყალიბებაში ტელევიზიის დომინანტური როლი კარგად გაითვალისწინა როგორც მმართველი პარტიის ბანაკმა, ასევე ოპოზიციამ, რომლებიც ცდილობენ, თავიანთი ზეგავლენა განამტკიცონ ძირითად ტელეარხებსა და საჭირო ტექნიკურ ინფრასტრუქტურაზე.[6]

<u>დიაგრამა: რა არის თქვენთვის საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის პირველი და მეორე წყარო? (თბილისში და თბილისის გარეთ მცხოვრები მოსახლეობის მაგალითზე)</u>



„TV9“-ს არ აქვს სახმელეთო მაუწყებლობის ლიცენზია. Must Carry/Must Offer- ის შემოღებამდე მის ჩვენებაზე არცერთი საკაბელო ოპერატორი არ დათანხმდა. (მისი ნახვა შეიძლებოდა მხოლოდ სატელიტით Turksat და სერვისის პროვაიდერ „Global TV“-ის

[3] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC): მედიის კვლევა 2011, http://www.crrc.ge/oda/?dataset=7&row=22&column=1.

[4] CRRC მედიის კვლევა 2011, http://www.crrc.ge/oda/?dataset=7&row=168.

[5] მონაცემები აღებულია 2011 წლის აგვისტოში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ აღებული ინტერვიუდან „TV MR GE-ის“ დირექტორთან ნინო გოგოლაძესთან.

[6] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ბლოგზე, სტატიაში მოცემულია ორი მაგალითი, სადაც აღწერილია, თუ როგორ იღებენ კონტროლს ტელეარხებზე „იგრიკა“ და „პიკ“ მმართველ პარტიასთან და ოპოზიციასთან დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირები. http://transparency.ge/en/blog/entities-associated-government-and-opposition-taking-over-tv-stations.

საშუალებით, რომლის საკონტროლო პაკეტს ბიძინა ივანიშვილის ძმა ფლობს, და ასევე ინტერნეტით.)

ბოლო თვეებში ტელევიზიით გაჟღერებულმა მთავრობის კრიტიკამ გარკვეული იმპულსი გამოიწვია. 2012 წლის მაისში ეთერში გავიდა კარგად დაფინანსებული არხი „TV9“, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს, და მის მიერვეა დაფინანსებული.[7]

TV9-ის ეთერში გასვლის შემდეგ, რომელსაც ქვეყანაში ადგილობრივი ბიუროების ქსელი აქვს, ზოგიერთ დამოუკიდებელ მედიასაშუალებებში ადგილი აქვს კადრების მნიშვნელოვან გადინებას. ამ საშუალებების არაერთი საუკეთესო რეპორტიორი ახალ არხზე უკეთ ანაზღაურებად პოზიციაზე გადავიდა.

რამდენიმე დამოუკიდებელმა რეპორტიორმა გააკრიტიკა ოპოზიცია ექსკლუზიური მასალების მხოლოდ თავიანთი კონტროლის ქვეშ მყოფი მედიასაშუალებებით გაჟღერების და სხვა საშუალებებისთვის ლიმიტირებული წვდომის მიცემის გამო.[8] წარსულში მსგავსი კრიტიკა მთავრობაზეც ვრცელდებოდა, ეროვნული ტელეარხების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის.[9]

ბოლო პერიოდის მოვლენები, მათ შორის „TV9“-ის ჟურნალისტების ადევნება პოლიტიკური აქტივისტების და „რეალთივის“ გადამღები ჯგუფის მხრიდან, (ითვლება, რომ ეს ტელეარხი მჭიდროდაა დაკავშირებული ხელისუფლებასთან) აჩვენებს, რომ პოლიტიკური კონკურენცია ნაციონალური მოძრაობის მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ შორის იზრდება, ისევე როგორც ბრძოლა ტელეარხებს შორის.[10]

შედარებით მცირე, მთავრობის მიმართ კრიტიკულმა ტელეარხებმა, რომლებიც მუშაობენ ახალ ამბებზე და ამზადებენ პროგრამებს მიმდინარე მოვლენების შესახებ, მათ შორის „მაესტრომ“ და „კავკასიამ“ 2012 წლის პირველ თვეებში, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, სარეკლამო და სხვა შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა დააფიქსირეს. ჯერ კიდევ სანახავია, თუ რამდენად სტაბილური იქნება ეს ტენდენცია, რადგან ამ დამატებითი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის წყარო „ქართული ოცნების“ სარეკლამო ხარჯებია.

ამ დროს, საქართველოს ეროვნული ტელეარხები - „იმედი“, „რუსთავი 2“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ლი არხი ახალი ამბების გამოშვებებში ძირითადად არსებული მთავრობის მიღწევებსა და რეფორმებს აშუქებენ. როგორც თემები, ისე რეპორტაჟების თანმიმდევრობა სამივე ეროვნულ არხზე ხშირად მსგავსია.[11]

---

[7] http://www.media.ge/en/stories/channel_9_to_open_up_to_

[8] Media.ge: ჟურნალისტების რეპორტაჟი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა მხრიდან პროფესიულ საქმიანობაში ჩარევის შესახებ, 11 ივნისი, 2012, http://www.media.ge/en/stories/journalistsreportoninter.

[9] იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2011 წლის ივნისის ანგარიში: საქართველოს რეგიონული მედია - ადგილობრივი „დარაჯები“ ზეწოლის ქვეშ: Georgia's http://transparency.ge/en/post/report/report-georgia-s-regional-media.

[10] http://info9.ge/?l=G&m=1000&id=1026; Media.ge: 9 ივლისი, 2012, „რეალთივი“ არაა ინფორმირებული TV9-ის ბათუმის ბიუროს ჟურნალისტის ნათია როყვასთვის მუშაობაში ხელის შეშლის შესახებ, http://www.media.ge/en/stories/realtvisnotinformedabout.

[11] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ვებგვერდი http://Telekritika.ge მომხმარებელს საშუალებას აძლევს ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა არხების მიერ მომზადებული საინფორმაციო გამოშვებები, იმსჯელონ მათზე და უკეთ გაიგონ, თუ როგორ გააშუქეს სიახლეები სხვადასხვა არხებმა.

ზოგ შემთხვევაში ახალი ამბები სამ არხს შორის აშკარად კოორდინირებულია. როდესაც მარტში საქართველოს მოქალაქე პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ გარდაიცვალა, სამმა ნაციონალურმა არხმა ამ შემთხვევას თითქმის იდენტური სიუჟეტები მიუძღვნა, სადაც ერთი და იგივე სიტყვებით ჰყვებოდნენ, რომ ოპოზიცია ცდილობდა, პოლიტიკური ელფერი მიეცა ამ ტრაგიკული შემთხვევისათვის და გარდაცვლილის ნათესავებზე ზეწოლას ახდენდა.[12]

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება, ამუშავებს ორ არხს - პირველ და მეორე არხებს, რომელთა მიღებაც ანალოგიური ანტენით შეიძლება (ქვეყნის ზოგ ნაწილში, მაგ. თბილისში, ქუთაისში, გორში, ამ არხების მიღება ჩვეულებრივი ანტენით შეიძლება) და ასევე რუსულენოვან საინფორმაციო არხს „პიკ“.

2012 წლის NDI-ის კვლევაში აღნიშნულია, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ახალი ამბების მოსასმენად ორ ეროვნულ კერძო არხს მიმართავს. რესპონდენტთა 86% ამბობს, რომ მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას „იმედისა“ და „რუსთავი 2–ის“ არხებიდან იღებენ.[13]

დიაგრამა: უყურებთ თუ არა ინფორმაციას ქართული პოლიტიკის და საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ შემდეგ ეროვნულ არხებზე? [14]

60% ამბობს, რომ პოლიტიკურ შოუებს 1 არხზე უყურებენ. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი 2011 წლის გაზაფხულის შემდეგ, როცა გამოკითხულთა 32%–მა აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ არხზე უყურებდნენ საინფორმაციო გამოშვებებს. (შესაძლოა, აუდიტორიის რაოდენობის ზრდას ხელი შეუწყო ფეხბურთში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ტრანსლაციამ.)[15]

კვლევის მონაცემებიდან ასევე ჩანს, რომ გასულ წელს “მაესტრომ“ და „კავკასიამ“ გაზარდეს საინფორმაციო გამოშვებების აუდიტორია. 2011 წლის გაზაფხულზე გამოკითხულთა 6% უყურებდა პოლიტიკურ გადაცემებს „მაესტროზე“. 2012 წელს ეს რიცხვი 19%–მდე გაიზარდა. „კავკასიის“ აუდიტორია 9%–დან (2011წ) 19%–მდე (2012წ) გაიზარდა. 2012 წელს გამოკითხულთა მხოლოდ 5%–მა აღნიშნა, რომ მიმდინარე ამბების შესახებ გადაცემებს „TV9“–ზე უყურებენ, 74%–მა კი თქვა, რომ საერთოდ არ აქვთ ეს არხი.[16]

---

[12] დეტალური ინფორმაციისათვის ეწვიეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ბლოგს. http://transparency.ge/en/blog/tv-stations-air-coordinated-news-coverage-kimeridze-death-case. გასულ წლებში იყო სხვა ცნობილი შემთხვევები, როცა აშკარად ადგილი ჰქონდა ახალი ამბების სიუჟეტების კოორდინაციას. უფრო მეტი მაგალითებისათვის, იხილეთ„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2009 წლის ანგარიში: ტელევიზია საქართველოში – მფლობელობა, კონტროლი და რეგულირება http://transparency.ge/en/content/television-georgia-%E2%80%93-ownership-control-and-regulation.

[13] ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი/კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი: (National Democratic Institute): საზოგადოების აზრი საქართველოში. 2012 წლის ივნისში ჩატარებული კვლევა. ნიმუში: 6,299 ინტერვიუ ქვეყნის მასშტაბით (ცდომილების ზღვარი +/- 2%), www.civil.ge/files/files/2012/NDI-June2012-Survey-ENG.pdf

[14] ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი /კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი: საზოგადოების აზრი საქართველოში. 2012 წლის ივნისი.

[15] 2011 წლის გამოკითხვაში კითხვა ცოტა სხვანაირად იყო ფორმულირებული, ვიდრე 2012 წლის გამოკითხვაში. 2011 წელს რესპონდენტებს, რომელთაც აღნიშნეს, რომ ტელევიზორს უყურებენ, ჰკითხეს: „რომელ ტელეარხებზე უყურებთ ყველაზე ხშირად საინფორმაციო გამოშვებებს ან პოლიტიკურ გადაცემებს და პროგრამებს საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ? „ კავკასიის რესურსცენტრის კვლევა, 2011, წყარო: http://www.crrc.ge/oda.

[16] ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი /კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი: საზოგადოების აზრი საქართველოში. 2012 წლის ივნისი. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის 2011 წლის კვლევა.

ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევიდან ასევე ირკვევა, რომ ზოგიერთი ადგილობრივი არხი შესაბამის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში მათ შორის ზუგდიდში, ბათუმში, ფოთში, გორში და რუსთავში ახალი ამბების მნიშვნელოვანი წყაროა.[17]

<u>დიაგრამა: უყურებთ თუ არა პოლიტიკურ გადაცემებს და მიმდინარე ამბების გაშუქებას ამ ადგილობრივ არხებზე?[18]</u>



საბაზრო წილი აუდიტორიის მიხედვით

2012 წლის პირველი ექვსი თვის საბაზრო წილი ზოგადი აუდიტორიის მიხედვით აჩვენებს, რომ ქართული არხების მზარდი რაოდენობა „იმედს“ და „რუსთავი 2–ს“ აუდიტორიის მიხედვით საბაზრო წილს ვერ ართმევს. ეს ორი კერძო ეროვნული არხი ერთად საქართველოს ტელეაუდიტორიის 60%-ს იკავებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი 100 წუთიდან 60 წუთს, როცა ქართველები ტელევიზორს უყურებენ, ამ ორიდან რომელიმე არხია ჩართული.[19]

---

[17] იქვე.

[18] ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი /კავკასიისკვლევითი რესურსების ცენტრი: საზოგადოების აზრი საქართველოში. 2012 წლის ივნისი.

[19] ეს წილები აუდიტორიის მიხედვით ეფუძნება წარმომადგენლობით ნიმუშს: ქალაქში მცხოვრები მოსახლეობა 18 წელზე ზემოთ. საბაზრო წილი სპეციფიკური აუდიტორიის და პიკის საათების მიხედვით შეიძლება ამ მონაცემებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მადლობას უხდის Nielsen Television Audience Measurement-ის ლიცენზიის მფლობელს TV MR Georgia-ს მონაცემების მოწოდებისათვის. ნიმუშის სიდიდისა და მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია იხილეთ კომპანიის ვებგვერდზე: http://agbnielsen.com/whereweare/georgia.asp.

ტელეპროდუქციის გაციფრულების გამო გადაცემების მომზადებისა და ტელეარხის ოპერირების ხარჯები შემცირდა. შედეგად, საქართველოს ბაზარზე რამდენიმე ახალი ტელეარხი გამოჩნდა. ზოგიერთ შემთხვევაში, ბაზარზე უკვე აღიარებულმა მოთამაშეებმა გასართობი არხების ნიშა შექმნეს, რომელიც კონკრეტულ აუდიტორიაზეა გათვლილი. ასეთია, მაგალითად, აზარტული თამაშების არხი „ფლეითივი“ (იმედის მფლობელების წამოწყება), გასართობი არხი „ახალი არხი“, (რუსთავი 2–ის პროდუქტი) ან „მაესტროს“ „მაესტრო მუსიკა.“ ამავე დროს, ბაზარზე გამოჩნდა რამდენიმე ახალი მოთამაშე, მათ შორის „აფხაზეთის ხმის“ ტელევიზია, „ენკი-ბენკი“ ბავშვებისთვის,[20] myvideo.ge TV (ვიდეოს და სტრიმინგის პოპულარული ვებსაიტის პროდუქტი), და News TV, რომლის აქციონერებიც არიან ყოველდღიური გაზეთის „24 საათის“ მფლობელები.[21]

წელი	**2010**	**2011 (იან-**	**2012 (იან-ივნ)**
არხი	საბაზ. წ. %	საბაზ.წ. %	საბაზ.წ. %
რუსთავი 2	29.18%	28.88%	31.81%
იმედი	29.84%	31.56%	27.40%
ტვ სხვ გამოყ	11.25%	10.14%	8.66%
სსმ 1 არხი	5.53%	4.49%	5.79%
საქართველო	3.80%	4.27%	4.33%
სხვა უცხოური	4.39%	5.57%	3.83%
სხვა რუსული	2.62%	1.94%	2.90%
ახალი არხი	-	-	2.68%
რეგიონTV/სსმ -	2.36%	2.57%	1.70%
ევრკ	2.08%	1.51%	1.46%
მზე	1.62%	1.34%	1.44%
მაესტრო	0.88%	1.28%	1.43%
სხვა ქართული	1.33%	1.67%	1.30%
კავკასია	1.61%	1.12%	1.21%
სსმ – მე2 არხი	0.50%	0.90%	1.17%
ენკი-ბენკი	-	-	0.84%
Music Box	0.77%	0.57%	0.56%
აჭარა TV	1.10%	1.07%	0.52%
I სტერეო	0.84%	0.81%	0.42%
რეალ TV	0.30%	0.31%	0.29%
აფხაზეთის ხმა	-	-	0.12%
			წყარო: TV MR GB - AGB Nielsen

[20] ენკი–ბენკის, რომელიც ბლექ სი სატის პაკეტში შედის, მფლობელია შპს ივერია ინტერ მედია (ID: 205210902), მისი მფლობელები არიან: ლელა ასლანიკაშვილი (35%), ნონა ჩარგეიშვილი (35%), ლილი კახიანი (20%) და გიორგი ებრალიძე (10%).

[21] News.ge (ID: 404412248) 2012 წლის ივნისში დაარსდა. მისი მფლობელები არიან: დავით სიხარულიძე (40%), მამუკა მონავარდისაშვილი (15 %), ITDC–ის დირექტორი. ეს ფირმა დაკავებულია ვებდიზაინით და მის კლიენტებს შორის ბევრი სამთავრობო დაწესებულებაა; იგი ასევე ამუშავებს ვიდეოს და სტრიმინგის პოპულარულს ვებსაიტს myvideo.ge, გიორგი გარსევანიშვილი (15%), მამუკა ფაჩუაშვილი (15%), საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოს წევრი და ყოველდღიური გაზეთის „24 საათის“ რედაქტორი და თანამფლობელი, და პაატა ვეშაპიძე (15%), „24 საათის“ კიდევ ერთი თანამფლობელი. დირექტორი: მირიან კიკნაძე. News.ge TV „ბლექ სი სატზეა“.

[22] რეგიონ TV-მ იყიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის რუსულენოვანი სატელიტური საინფორმაციო არხი „პიკი“ 2012 წლის იანვარში; თვითონ რეგიონ TV ეთერიდან თებერვალში გაითიშა, იანვარში მისი საბაზრო წილი აუდიტორიის მიხედვით 2.51% იყო. „პიკის“ საბაზრო წილი 2012 წლის თებერვლიდან იზომება.

[23] საქართველოს საპატრიარქოს სატელევიზიო სადგური „ერთსულოვნება“ იყენებს სიხშირეს, რომელიც თავდაპირველად „ევრიკისთვის“ იყო გამოყოფილი.

ტექნიკური წვდომა

„რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ პოპულარობა ნაწილობრივ იმით შეიძლება აიხსნას, რომ მათ აქვთ ტექნიკური შესაძლებლობა, მისწვდნენ საქართველოს ოჯახების დაახლ. 96%-ს. გადასახადების გადამხდელთა ფინანსებით დაფინანსებული პირველი არხი ტელევიზორის მაყურებელი ოჯახების მხოლოდ 82%-ს სწვდება. 2011 წელს ჩატარებულ კვლევაში რესპონდენტთა მხოლოდ მეოთხედმა აღნიშნა, რომ სსმ მეორე არხის მიღება შეეძლო. ამ არხზე ტრანსლირდება საპარლამენტო დებატები და პოლიტიკური პარტიების პრესკონფერენციები.[24]

„აჭარა TV“, სახელმწიფო არხი, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული მთავრობა ამუშავებს, აკონტროლებს სამაუწყებლო სიხშირეებს, რომლებიც საქართველოს დიდ ნაწილს ფარავს და რეგიონულ არხს საშუალებას აძლევს ოჯახების 55%-ს მისწვდეს. არხმა 2012 წელს სახელმწიფოსგან 6.7 მილიონ ლარს მიიღო და იურიდიული საფუძვლის გარეშე განაგრძობს ოპერირებას. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ ითვალისწინებს საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობას, მაგრამ არა მთავრობის მიერ კონტროლირებულ სატელევიზიო სადგურს.[25] კანონში ხაზგასმითაა აღნიშნული: „იურიდიული პირი, რომელიც ურთიერთდამოკიდებულია, ან კონტროლირებულია ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ“ არ უნდა ფლობდეს მაუწყებლობის ლიცენზიას.[26] გასულ წელს კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით, მთავრობას ევალება, 2011 წლის 1 ნოემბრამდე წარმოადგინოს სადგურის რეორგანიზაციის გეგმა. ეს ვადა ისე გავიდა, რომ მთავრობას არ წარუდგენია რაიმე ინიციატივა არხის სტატუს კვოს შეცვლასთან დაკავშირებით.[27] თუ აჭარის ტელევიზია დაექვემდებარება რეფორმას, მაგალითად თუ გახდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ნაწილი, მაშინ სსმ შეძლებს აჭარის ტელევიზიის ზოგიერთი სიხშირის გამოყენებას საკუთარი წვდომის გაზრდისათვის. დანარჩენი სიხშირეები კი შეიძლება გატანილ იქნას ტენდერზე, რომელშიც დაინტერესებული კერძო სადგურები მიიღებენ მონაწილეობას.

ის არხები, რომლებსაც მთავრობის ქმედებების შესახებ კრიტიკული შეხედულებები აქვთ, ტექნიკური თვალსაზრისით შეზღუდული არიან და არ აქვთ წვდომა დიდ აუდიტორიაზე. 2011 წლის CRRC კვლევის შედეგები აჩვენებს: რესპონდენტთა 31%-მა აღნიშნა, რომ იღებს თბილისში დაფუძნებულ „კავკასიის“ არხს. ამ არხს თბილისის სახმელეთო მაუწყებლობის სიხშირე აქვს, ჩართულია რამდენიმე საკაბელო ქსელში და 2012 წლის ივნისიდან უკვე „ბლექ სი სატ-ის“ საშუალებითაც შეიძლება მისი ნახვა. მხოლოდ 23%-მა აღნიშნა, რომ იღებს „მაესტროს“. ამ სადგურს არ აქვს სახმელეთო მაუწყებლობის ლიცენზია და მისი მიღება მხოლოდ რამდენიმე საკაბელო ოპერატორის და სატელიტის საშუალებით შეიძლება.[28] TV9-ის დაფარვა, რომელსაც არ აქვს სახმელეთო

---

[24] CRRC მედიის კვლევა 2011, წყარო: http://crrc.ge/oda.

[25] აჭარა TV - ოფიციალური სახელწოდება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელერადიომაუწყებლობის დეპარტამენტი. იგი ბათუმის რეგიონული მთავრობის ნაწილია. 2011 წელს მიიღო 5.808 მილიონი ლარის დაფინანსება, 2010 წელს - 6,142 მილიონი ლარი, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის თანახმად. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1532899#.

[26] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 37 (2), http://www.gncc.ge/files/7050_3380_492233_mauwyebloba-eng.pdf (გაითვალისწინეთ, რომ ეს თარგმანი არ ასახავს 2011 წლის შესწორებებს). კანონში 2005 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მთავრობას მოეთხოვებოდა „ 2006 წლის ბოლოსთვის შეემუშავებინა აჭარის ტელევიზიის რეორგანიზაციის წინადადებები.“ ეს ვადა ისე გავიდა, რომ წინადადებები არ წარუდგენიათ. 2011 წლის აპრილში კანონში ცვლილებები შევიდა, სადაც კვლავ შეიტანეს რეორგანიზაციის ბოლო ვადა.

[27] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 76 (19).

[28] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი: მედიის კვლევა 2011. წყარო: http://www.crrc.ge/oda/.

მაუწყებლობის ლიცენზია და არცერთ საკაბელო ოპერატორს არ ჰყავს პაკეტში ჩასმული გარდა Global TV-ისა, სავარაუდოდ ოჯახების 15-20% იღებს, ძირითადად „თურქსატით“.

<u>დიაგრამა: ტელევიზორის მფლობელთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც აღნიშნეს, რომ შეუძლიათ მიიღონ შემდეგი ტელეარხები: (2011)</u>



საქართველოს ქალაქში მცხოვრები ოჯახების დაახლოებით 92%-ს და სოფლად მცხოვრები ოჯახების 83%-ს აქვს ფერადი ტელევიზორი.[29] ოჯახების დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით სოფლად, ჯერ კიდევ შავ-თეთრ ტელევიზორს უყურებს. ოჯახების მხოლოდ დაახლ. 2%-ს არ აქვს ტელევიზორი.[30]

საქართველოს ოჯახების დაახლოებით ნახევარი სატელევიზიო სიგნალს ანტენის საშუალებით იღებს, რის გამოც იძულებული არიან იმ არხებს უყურონ, რომლებიც შესაბამის რეგიონში სახმელეთო მაუწყებლობის სიხშირეზე მუშაობენ. მთიან რეგიონებში სიგნალის მიღება ხშირად პრობლემაა. სოფლად სატელიტური ანტენები მეტად პოპულარული ხდება, ქალაქებში კი ბევრი ოჯახი საკაბელო ქსელშია ჩართული.

2011 წელს სატელიტურ „თეფშზე“ ოჯახების დაახლოებით 17%-ს ჰქონდა ტელევიზორი შეერთებული. (თბილისის ოჯახების 7% და თბილისის გარეთ მცხოვრები ოჯახების 22%).[31] სავარაუდოდ, ბოლო თვეებში სატელიტის გავრცელება მთელ ქვეყანაში გაიზარდა, რადგან წლის დასაწყისში ორი ფასიანი სატელიტის პროვაიდერი გამოჩნდა, „Global TV”-მ კი სატელიტური „თეფშებისა“ და მიმღებების დისტრიბუცია უზრუნველყო.

აბონენტების მიახლოებით 43% სატელევიზიო სიგნალს საკაბელო ქსელით ან სატელიტით იღებს. (თბილისის ოჯახების 59% და თბილისის გარეთ მცხოვრების ოჯახების 36%)[32] „ბლექ სი სატ“-ის წარმომადგენელი ვასილ მღებრიშვილი ვარაუდობს, რომ საქართველოში დაახლოებით 300,000 ოჯახს აქვს სატელიტური ანტენა;[33] „Global TV”-ის წარმომადგენელი ზურაბ ბაზლიძე ვარაუდობს, რომ სანამ მისი კომპანია

[29] CRRC კავკასიის ბარომეტრი – საქართველო 2011, http://www.crrc.ge/oda/?dataset=16&row=223&column=1.
[30] ოჯახების 17%-ს აქვს 2 ტელევიზორი, 5%-ს სამი ან მეტი. მედიის კვლევაში გამოკითხვა მხოლოდ ქართულად მოსაუბრეებს შორის ჩატარდა. შესაძლებელია, რომ ტელევიზიის შეღწევადობა უმცირესობაში მოხვედრილ ენებზე მოსაუბრეთა ჯგუფებს შორის შედარებით დაბალია, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში. CRRC მედიის კვლევა 2011, http://www.crrc.ge/oda/?dataset=7&row=125%20.
[31] CRRC მედიის კვლევა 2011, http://www.crrc.ge/oda/?dataset=7&row=377&column=1.
[32] CRRC მედიის კვლევა 2011, http://www.crrc.ge/oda/?dataset=7&row=126, http://www.crrc.ge/oda/?dataset=7&row=126&column=1.
[33] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ ვასილ მღებრიშვილთან

სატელიტური „თეფშების“ დისტრიბუციას დაიწყებდა, ისინი 150,000 დან 170,000-მდე ოჯახს ჰქონდა.[34]

სოციალურად დაუცველი ადამიანების წვდომა და გადასვლა ციფრულ მაუწყებლობაზე

2012 წლის მარტში, დაახლოებით 133,000-მა ოჯახმა მიიღო მთავრობის სოციალური დახმარება.[35] როგორც ამბობენ, სოციალური დახმარების მიმღებთ - ოჯახებს, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობენ, აქვთ ძველი ტელევიზორი და კომპიუტერი.[36] თუ ოჯახს თანამედროვე ტელევიზორი და სატელიტური ანტენა აქვს, ანუ ის ნივთები, რომლებიც შრომის სამინისტროს მიერ „ფუფუნების საგნებადაა“ კვალიფიცირებული, ეს ოჯახი სავარაუდოდ ფინანსურ დახმარებას აღარ მიიღებს.[37]

საქართველომ აიღო ვალდებულება, 2015 წლის ივნისისთვის გადავიდეს ციფრულ სახმელეთო მაუწყებლობაზე.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის დროისათვის ყველა ტელევიზორი შეძლებს ახალი სისტემით მუშაობას. თუმცა, მათ უმეტესობას (გარდა რამდენიმე სახის ბრტყელეკრანიანი ტელევიზორისა, რომელსაც ციფრული მიმღები მოყვება) დასჭირდება სპეციალური გადამყვანი, რომელიც დაამუშავებს გარედან მიღებულ სიგნალს და გარდაქმნის სატელევიზიო გამოსახულებად. ძალიან ძველ ტელევიზორებს, რომელთაც არ აქვთ ე.წ. „სკარტი“ – ციფრული კონტაქტური შემაერთებელი, დასჭირდება გადამყვანი ინტეგრირებული მოდულატორით, რომელიც ციფრულ სიგნალს ანალოგიურად გარდაქმნის, რაც შემდეგ ანტენით ტელევიზორში შედის. ევროპაში ძირითადი ფუნქციების მქონე გადამყვანის საცალო ფასი ამჟამად 25 ევროდან/30 დოლარიდან/50 ლარიდან იწყება.

იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ციფრულ სისტემაზე გადასვლის შემდეგ ყველა სოციალურად დაუცველ ოჯახს ჰქონდეს წვდომა ტელევიზიაზე, საქართველოს მთავრობას შეიძლება მოსთხოვონ ამ ოჯახებისათვის დახმარების გაცემა, მაგ. ვაუჩერების გაცემა და გადამყვანების სუბსიდირება.

Must Carry-ის შემოღებამდე: საკაბელო ოპერატორები მომხმარებელთა მოთხოვნებს არ პასუხობენ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთვის“ GNCC-ის მიწოდებული მონაცემების თანახმად,[38] 2012 წლის პირველ კვარტალში საქართველოს საკაბელო ოპერატორებს დაახლოებით 194,000 ოფიციალურად რეგისტრირებული კლიენტი ჰყავდათ (ოჯახები, კომპანიები და ორგანიზაციები),საკაბელო მომსახურების მომხმარებელთა უმეტესობა ქალაქად ცხოვრობს, დაახლ. 150,000 კლიენტი კი თბილისში

[34] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ კახა ბექაურთან.
[35] მესინჯერი: სოციალური დახმარების მეთოდოლოგია შეიცვლება, 20 აპრილი 2012, http://www.messenger.com.ge/issues/2590_april_20_2012/2590_salome.html.
[36] ბლექ სი პრესი: კომპიუტერი და მტვერსასრუტი 1 მაისიდან ფუფუნების საგნებად აღარ ჩაითვლება. 2012 წლის 30 აპრილი.
[37] შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ქულების სისტემის საშუალებით ადგენს, თუ რამდენად შეესაბამება ოჯახი ფინანსური დახმარების კრიტერიუმებს. სამინისტროს თანამდებობის პირმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ განუცხადა, რომ სატელიტური ანტენის ქონა სავარაუდოდ გამოიწვევს ოჯახის ამოღებას ფინანსური დახმარების მიმღებთა სიიდან.
[38] საქართველოს მოსახლეობა 4.47 მილიონია. საქართველოში მცხოვრები ოჯახების რაოდენობის შესახებ ახალი მონაცემები არ არსებობს. ბოლო აღწერა 2002 წელს ჩატარდა, მაშინ ოჯახების რაოდენობა 1.8 მილიონი იყო.

(მთლიანი მოსახლეობა: 1.15 მილიონი)[39] , 17,500 შავი ზღვის აჭარის რეგიონსა და მის დედაქალაქ ბათუმში.[40] GNCC-ის თანახმად, სულ 70 საკაბელო ოპერატორს აქვს უფლება სატელევიზიო და რადიოსიგნალები გადასცეს თავიანთ კლიენტებს. ამ კომპანიების უმეტესობა შედარებით პატარა ქალაქებში მდებარეობს და ათასზე ნაკლებ კლიენტს ემსახურება.[41]

გასულ წლებში ბევრი საკაბელო კომპანია უარს ამბობდა მომსახურების პაკეტში „მაესტროსა“ და „კავკასიის“ შეტანაზე.[42] „მაესტრო“ ჯერაც არ არის შეტანილი „სილქნეტის“ პაკეტში. „სილქნეტი“ ქვეყნის უმსხვილესი საკაბელო კომპანიაა და 2012 წლის დასაწყისში 48, 341 მომხმარებელი ჰყავდა[43]. 2011 წელს „მაესტრომ“ 5000 ხელმოწერა შეაგროვა. 200 ადამიანი მიიჭრა „სილქნეტში“ და თხოვა, „მაესტრო“ პაკეტში შეეტანა. ამაზე კომპანიამ უპასუხა, რომ ამგვარ გარე ზეწოლაზე იგი რეაგირებას არ მოახდენდა.[44] ამის მსგავსად, “TV9”-ს მხოლოდ ერთი საკაბელო კომპანია - „Global TV“, აჩვენებს, რომლის მფლობელიც ივანიშვილის ძმაა.

ბევრმა საკაბელო კომპანიამ უარი განაცხადა პაკეტში იმ არხების ჩართვაზე, რომლებიც მთავრობისადმი კრიტიკით გამოირჩევიან, მიზეზად კი „ტექნიკური პრობლემები“ დაასახელა. ამ არხების მიღებით პოტენციური მომხმარებლები დაინტერესებულნი არიან. კითხვაზე, უყურებდნენ თუ არა „კავკასიას“ ხელმოსაწვდომი რომ ყოფილიყო, რესპონდენტთა 50%-მა პროცენტმა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის 2011 წლის გამოკითხვაში უპასუხა „დიახ“. „მაესტროს“ შესახებ დასმულ კითხვაზე, რესპონდენტთა 45%-მა უპასუხა, რომ ხელმისაწვდომობის შემთხვევაში ამ არხს უყურებდა.[45]

მომხმარებელთა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული გათიშულობის აღმოფხვრის მიზნით, სამოქალაქო საზოგადოების წევრები გაერთიანდნენ კამპანიაში „ეს შენ გეხება“ და დაიწყეს საუბარი აუცილებელი და სავალდებულო სამაუწყებლო რეგულირების შემოღების შესახებ.[46] ამ პრინციპების თანახმად, სერვისის პროვაიდერები ვალდებული არიან პაკეტში შეიტანონ საზოგადოებრივი ღირებულების მქონე ტელეარხები (მაგ. საზოგადოებრივი მაუწყებლის არხები, ადგილობრივი არხები ან ეროვნული ახალი ამბების და მიმდინარე მოვლენების შესახებ პროგრამების მქონე არხები), სატელევიზიო სადგურები კი ვალდებული არიან, თავიანთი სიგნალი შესთავაზონ სერვისის პროვაიდერებს ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს გარკვეული კომპანიების პრივილეგირებას და დანარჩენების დისკრიმინაციას.[47]

---

[39] საქსტატი: საქართველო რიცხვებში, გვ. 9, http://geostat.ge/cms/site_images/_files/mcg/Georgia%20in%20figures_Eng.pdf.
[40] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ 2012 წლის აპრილში მოახდინა GNCC-ის მიერ მიწოდებული მონაცემების ტრანსკრიფცია. ამ მონაცემებში შედიოდა ყველა ავტორიზებული საკაბელო კომპანია, მათი ადგილმდებარეობა და კლიენტთა რაოდენობა. შემდეგ ეს მონაცემები განთავსდა ონლაინზე. http://goo.gl/hN2co.
[41] იქვე.
[42] Media.ge: „მაესტრო“ და პროვაიდერები, 20 ივლისი 2011, http://www.media.ge/en/node/41980.
[43] კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემები. იხილეთ: http://goo.gl/hN2co.
[44] Media.ge: „სილქნეტი“ უარს ამბობს შეთავაზებულ პროგრამებში „მაესტროს“ შეტანაზე. 21 აპრილი, 2012, http://www.media.ge/en/content/silknet_refuses_to.
[45] რესპონდენტთა 23%-მა თქვა არა, 32%-მა კითხვას არ უპასუხა.CRRC მედიის კვლევა 2011, http://www.crrc.ge/oda/?dataset=7&row=293.
[46] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ამ კამპანიის წამყვანი წევრია. იგი აერთიანებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, აქტივისტებსა და მედიასაშუალებებს. Civil.ge: კამპანიის ჯგუფი პარლამენტს მოუწოდებს მიიღოს აუცილებელი წესები. 8 ივნისი 2012, http://www.civil.ge/eng/article.php?id=24864.
[47] ევროკავშირში, უნივერსალური მომსახურების დირექტირის 43-ე მუხლით, წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ დააკისრონ სავალდებულო წესები. http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32002L0022:EN:NOT. ევროსაბჭომ ქვეყნებს რეკომენდაცია მისცა, სათანადოდ შემოეღოთ აუცილებელი და სავალდებულო წესები, რათა უზრუნველეყოთ მედიის პლურალიზმი და მედიის თემატიკის მრავალფეროვნება https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1089699. ამ თემაზე მსჯელობა ევროპისა და აშშ-ის კონტექსტში, იხილეთ: Iris Special, ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორია, ევროსაბჭო (2005): გვქონდეს თუ არ გვქონდეს - სავალდებულო წესები.

თავიდან, ნაციონალური მოძრაობის მმართველი პარტიის მაღალი დონის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს აუცილებელი და სავალდებულო რეგულირების შემოღების შესახებ დისკუსიაზე, რადგან ეს მთავრობის კერძო ბიზნესში არალეგიტიმურ ჩარევად ჩათვალეს.[48]

არჩევნების წინ როგორც ქვეყანაში, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობაში იზრდება საზოგადოების ყურადღება პლურალისტურ მედიაზე მოსახლეობის წვდომის საკითხებისადმი. ამ ფონზე პარლამენტი დათანხმდა არჩევნების წინ დროებით იქნას შემოღებული აუცილებელი და სავალდებულო წესები.[49]

სავალდებულო წესების (Must Carry/Must Offer) შემოღება წინასაარჩევნო პერიოდში

საქართველოს პარლამენტმა 29 ივნისს მიიღო ცვლილება საარჩევნო კოდექსში, რომელიც ითვალისწინებს დროებითი სავალდებულო წესების შემოღებას საკაბელო კომპანიებისათვის წინასაარჩევნო პერიოდში.[50] ახალი რეგულირებით,(must carry) საკაბელო პროვაიდერებს ევალებათ პაკეტში შეიტანონ საზოგადოებრივი მაუწყებლის არხები (1-ლი არხი, მე-2 არხი, „პიკ“), ნებისმიერი ქართული არხი, რომელსაც აქვს სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზია და ყველა სატელევიზიო არხი, რომელსაც აქვს საერთო სახმელეთო მაუწყებლობის ლიცენზია თავის მომსახურების არეალში.[51] ის ადგილობრივი სადგური, რომელიც მოსახლეობის 20%-ზე მეტს მოიცავს, ქვეყნის მასშტაბის არხის სტატუსს იძენს. ეს წესი შემოღებულ იქნა იმისათვის, რომ ტელეკომპანია „კავკასია“ სავალდებულო ტრანზიტის რეგულაციაში ქვეყნის მასშტაბით მოქცეულიყო.
ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდი, რომელშიც ეს წესი იმოქმედებს, იწყება პრეზიდენტის მიერ არჩევნების თარიღის ოფიციალურად გამოცხადებით, არჩევნებამდე სულ მცირე 60 დღით ადრე, და მთავრდება არჩევნების თარიღის წინა დღეს.

GNCC-მ მაუწყებლებსა და საკაბელო ოპერატორებს უნდა აცნობოს წესით გათვალისწინებული ვალდებულებების შესახებ და წინასაარჩევნო პერიოდამდე გამოაქვეყნოს იმ კომპანიების სია, რომელთაც ეს წესი ეხება. ის კომპანიები, ვინც წესს არ შეასრულებს, GNCC-მ უნდა გააფრთხილოს და მისცეს საკითხის მოგვარებისთვის სამდღიანი ვადა.

დაუმორჩილებლობისა და განმეორებითი დარღვევების შემთხვევაში, GNCC-ს შეუძლია საკაბელოს ერთი წლით შეუჩეროს ავტორიზაცია. წესთან დაკავშირებული GNCC-ის გადაწყვეტილება საკაბელოს შეუძლია გასაჩივროს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად (კანონში აღნიშნულია, რომ პოლიტიკურ პარტიებს გასაჩივრება არ შეუძლიათ). თბილისის საქალაქო სასამართლომ დავასთან დაკავშირებით განაჩენი ორი დღის ვადაში უნდა გამოიტანოს. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც ორი დღის ვადაში უნდა გამოიტანოს საბოლოო განაჩენი.[52]

---

[48] Civil.ge: მმართველი პარტია ამბობს: სავალდებულო წესები მიუღებელია, 14 ივნისი, 2012, http://www.civil.ge/eng/article.php?id=24890.
[49] Civil.ge: შეიქმნა აუცილებელი წესების შესახებ კანონის პროექტი, 26 ივნისი 2012, http://www.civil.ge/eng/article.php?id=24922.
[50] ამ ანგარიშის მომზადების დროს, შესწორების საბოლოო ტექსტი, რომელიც პარლამენტის მიერ მესამე მოსმენით იქნა დამტკიცებული, ჯერ გამოქვეყნებული არ იყო.
[51] საქართველოს სამაუწყებლო რეგულირება განასხვავებს სპეციალიზებულ ლიცენზიას, რაც განმცხადებელს საშუალებას აძლევს ეთერში გაუშვას გასართობი თემატიკა, მაგრამ არა მიმდინარე მოვლენების გაშუქება, და საერთო ლიცენზიას, რომელიც მაუწყებელს საშუალებას აძლევს ეთერში გაუშვას ახალი ამბები და პოლიტიკური თოქშოუები.
[52] წესის შემოღების შესახებ საპარლამენტო დებატების დეტალური დოკუმენტაცია იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ბლოგი: http://transparency.ge/en/blog/must-carry-and-its-discussions-parliament-upd.

სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში, წესის შემოღება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა წვდომის გაზრდას პლურალისტულ საინფორმაციო პროდუქტებზე. ასევე გაიზრდება შედარებით მცირე სატელევიზიო არხების წვდომა აუდიტორიასთან, რაც მათ საშუალებას მისცემს, შედარებით თანაბარ სათამაშო მოედანზე აღმოჩნდნენ და კონკურენცია გაუწიონ მსხვილ ეროვნულ არხებს როგორც აუდიტორიის, ისე სარეკლამო შემოსავლების მხრივ.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნები 2012 წელს ჩატარდება სავალდებულო წესები(Must Carry/Must Offer) ძალაში 3 აგვისტოს შევიდა.[53]

6 აგვისტოს მდგომარეობით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, საკაბელო ოპერატორების მომხმარებელთა რაოდენობამ 190.000 შეადგინა. კომისიის მონაცემებით „9-ე არხს“ უყურებდა 189 249 აბონენტი; „მაესტროს“ - 130,073 მომხმარებელი. (კომპანია Silknet - ქვეყნის უმსხვილესი საკაბელო ოპერატორი არ რთავს თავის ქსელში „მაესტროს“ ორ კომპანიას შორის არსებული დავის გამო).[54] „კავკასია“ ხელმისაწვდომი იყო 159,226 აბონენტისთვის, აქვე ხაზგასმული იყო, რომ რამოდენიმე საკაბელო ოპერატორს ჯერ არ მოუსწრია „კავკასიის“ თავის პაკეტში განთავსება. 76,912 აბონენტი უცქერდა ბათუმის „25-ე არხს“ (რომელსაც რეგიონული Must Carry-ს სტატუსი აქვს).[55] Silknet-მა განაცხადა, რომ ჩართავს ტელეკომპანიას „თრიალეთი“ და „25 არხს“ საკუთარ პაკეტში.[56]

სატელიტური ტელევიზიის მზარდი როლი

ეროვნული ტელეარხები რამდენიმე წელია არაკოდირებულ (და შესაბამისად თავისუფლად წვდომად) სიგნალს გადასცემენ სატელიტის საშუალებით, რომელსაც ამუშავებს თურქული პროვაიდერი „თურქსატი“.[57] შედარებით მცირე არხებს არ ჰქონდათ სიგნალის გადაცემის და სატელიტის სეგმენტის ქირაობის ფინანსური საშუალება. ბოლო თვეებში სატელიტით გადაცემის როლი გაიზარდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბაზარზე ორი სატელიტის პროვაიდერი კომპანია გამოჩნდა.

მაგთისატი

2012 წლის იანვარში საქართველოს მობილური ტელეფონების ოპერატორმა „მაგთიკომმა“ექსპლუატაციაში გაუშვა მისი შვილობილი კომპანია „მაგთისატი“. იგი საქართველოში პირველ ფასიან სატელიტურ პაკეტებს ყიდის. გადმოცემა ხდება Astra 1G-ის საშუალებით, რომელიც ლუქსემბურგში მდებარე კომპანია SES-ის სატელიტია.[58]

„მაგთისატი“ თავის პაკეტებში ძირითადად საერთაშორისო საინფორმაციო, სპორტულ და გასართობ არხებს უშვებს (ღირებულება თვეში 10-დან 50 ლარამდე). კომპანია იბრძოდა პაკეტებში ქართული ტელეარხების შეტანისთვის, მაგრამ მას „რუსთავი 2-მა“, „იმედმა“ და სხვა პოპულარულმა არხებმა უარი უთხრეს იმ მიზეზით, რომ ისინი ექსკლუზიურად სხვა

[53] Civil.ge: 'Must-Carry' წესები ძალაში 2012 3 აგვისტოს შედის, http://civil.ge/eng/article.php?id=25069.

[54] სილქნეთთან მოლაპარაკების დაწყებამდე მაესტროს თანამფლობელმა მამუკა ღლონტმა სილქნეთისაგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა წარსულში ქსელში ჩაურთველობის გამო. კომპანიები ასევე ვერ შეთანხმდნენ თუ ვინ უნდა გადაიხადოს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობისათვის, რომელიც დაეხმარება მაესტროს სიგნალის იმგვარად გარდაქმნაში, რომ მაესტროს მიღება სილქნეტის ყველა მომხმარებელმა შეძლოს. მაესტროსა და სილქნეთს შორის მიმოწერა, 4 და 8 აგვისტო, 2012 წელი.

[55] კომუნიკაციის ეროვნული კომისიის განცხადება, http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=112849, 7 აგვისტო, 2012 წელი.

[56] Media.ge: www.media.ge/en/stories/silktvtocarrychannel25an.

[57] Turksat: http://www.turksat.com.tr/english/v2/satellite-fleet-and-specifications/turksat-3a-42-east.

[58] http://www.ses.com/4336667/about-ses.

პროვაიდერთან - „ბლექ სი სატთან“ მუშაობდნენ. ეს კომპანია „მაგთისატის“ მერე ნახევარ წელიწადში გაეშვა ექსპლუატაციაში. „მაგთისატს“ ამჟამად შემდეგი ქართული არხები აქვს: „მაესტრო“, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი და „პიკ“. პირველ არხს თავდაპირველად მაინცადამაინც არ უნდოდა „მაგთისატისთვის“ თავისი არხების ხელახალი გადაცემის უფლება მიეცა. „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის, დევიდ ლის სიტყვებით, „მაგთისატს“ დაახლოებით 10 000 კლიენტი ჰყავს.[59]

ასტრა 1G-ით სხვა ქართული ტელეარხები არ გადაიცემა. ამიტომ, იმ მაყურებლებს, რომელთაც სურთ იმ ტელეარხების ნახვა, რომლებიც „მაგთისატის“ პაკეტში არ შედის, დამატებით სატელიტური ანტენის და მიმღების, ასევე საკაბელო პაკეტის ყიდვა უხდებათ, ან იღებენ იმ არხებს, რომლების ყურებაც მათ ტერიტორიაზე ანტენითაა შესაძლებელი.

მას შემდეგ, რაც სავალდებულო წესები (Must Carry/Must Offer) ძალაში აგვისტოს დასაწყისში შევიდა მაგთისატმა საკუთარ პაკეტში პაკეტში „იმედი“, „რუსთავი2“, „9-ე არხი“, „25-ე არხი“ და აჭარის ტელევიზია დაამატა.[60]

„მაგთიკომის“ საკონტროლო პაკეტის ბენეფიციარი მფლობელი მისი დამფუძნებელი გია ჯოხთაბერიძეა (51%), ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიძე.[61] მაგთის ყოფილი მენეჯერები აქციების 3%-ს ფლობენ.[62] გარდაცვლილი ოლიგარქის ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი აქციების დანარჩენ ნაწილს ფლობს, სხვადასხვა იურიდიული პირებისა და სატრასტო კომპანიების საშუალებით.[63]

აპრილში GNCC-მა „მაგთისატი“ შეცდომაში შემყვანი რეკლამისათვის 90 000 ლარით დააჯარიმა. (კერძოდ იმისათვის, რომ არხმა ვერ მოახერხა ხაზი გაესვა, რომ მის პაკეტში შემავალი არხი, რომელიც ინგლისის პრემიერლიგის მატჩებს აჩვენებს, რუსული კომენტარით გადის).[64] კლიენტების რაოდენობის საკმაოდ დაბალი მაჩვენებლის და დარღვევის სიმცირის გათვალისწინებით, ჯარიმის ოდენობა საქართველოს სტანდარტებით საკმაოდ მაღალი იყო. (შედარებისათვის: 2011 წელს GNCC-მა „იმედი“ და „რუსთავი 2“ 2 500 ლარის ჯარიმით დასაჯა იმისათვის, რომ ისინი სისტემატურად იმაზე მეტ რეკლამას უშვებდნენ, ვიდრე უფლება ჰქონდათ.)

ბლექ სი სატი - თურქსატი

2012 წლის ივნისში მომსახურება დაიწყო ახალმა ქართულმა ფასიანმა სატელიტურმა პროვაიდერმა „ბლექ სი სატმა“. კომპანიის შესახებ საჯარო განცხადება რამდენიმე კვირით ადრე გაკეთდა. კომპანია იყენებს სატელიტს Turksat 2A/3A, რომელსაც თურქული სახელმწიფო სატელიტური ოპერატორი აკონტროლებს.[65] „ბლექ სი სატის“ პაკეტების

---

[59] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ „მაგთიკომის“ გენერალურ დირექტორთან დევიდ ლისთან.
[60] მაგთისატმა რამოდენიმე ახალი არხი დაამატა, 2 აგვისტო, 2012 წელი. http://magtisat.ge/index.php?page=news&id=67.
[61] 2010 წელს აშშ ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟის კომისიისთვის Delaware company MIC.inc -ის გაკოტრების ოფიციალური დოკუმენტების გაგზავნამ გარკვეულწილად ნათელი მოჰფინა „მაგთიკომის“ კომპანიის სტრუქტურას. http://www.secinfo.com/dsvr4.r3J15.htm?Find=magticom#1stPage, http://google.brand.edgar-online.com/EFX_dll/EDGARpro.dll?FetchFilingHtmlSection1?SectionID=7438410-427456-1521296&SessionID=9-UbHH_6_c4eiP7; http://www.secinfo.com/dsvr4.r3J15.d.htm#1stPage; http://delawarebankruptcy.foxrothschild.com/uploads/file/MIG%20Affidavit.pdf.
[62] შპს Gemstone Management-ის, British Virgin Islands-ზე მდებარე კომპანიის საშუალებით.
[63] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ „მაგთიკომის“ გენერალურ დირექტორთან დევიდ ლისთან.
[64] Media.ge: GNCC აჯარიმებს „მაგთისატს“ 90 000 ლარით. 11 აპრილი, 2012. http://www.media.ge/en/stories/gncc_fines_magtisat_with.
[65] „თურქსატის“ ვებგვერდი, http://www.turksat.com.tr/english/v2/.

ღირებულება 10 ლარიდან იწყება. მას პაკეტებში შეტანილი აქვს ყველა ძირითადი ქართული საინფორმაციო არხი, ასევე ქართული გასართობი და ფასიანი არხები.[66]

პაკეტში შედის საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხები, არსებული მთავრობის მხადამჭერი ან მასთან დაკავშირებული არხები: „რუსთავი 2“, „იმედი“, „რეალ TV“, „აფხაზეთის ხმა“, ასევე შედის „მაესტრო“ და „კავკასია“, ის ორი სადგური, რომელიც მთავრობას აკრიტიკებს.[67] „ბლექ სი სატის“ პაკეტში შემავალი არხები კოდირებულია და მათი ყურება მხოლოდ იმ აბონენტებს შეუძლიათ, რომელთაც აქვთ კომპანიის გადამცემი.[68] იმავე სატელიტის საშუალებით, პირველი არხი, „იმედი“, „რუსთავი 2“, „TV9“, „მაესტრო“ და 25-ე არხი არაკოდირებულ სიგნალებს გადასცემენ. მათი ყურება თავისუფლად შეუძლია ყველას, ვისაც აქვს სატელიტური ანტენა და მიმღები (სატელიტის მხარეს მიმართული) და ამისათვის სულაც არაა საჭირო ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი. „ბლექ სი სატის“ უფასო არხები სატელიტის პაკეტში უფულოდ, ხელიდან ხელში შედის. ფასიან პროვაიდერ GMG-ს „ბლექ სი სატი“ მისი არხების მიწოდებისთვის უხდის თანხას.

„ბლექ სი სატი“ ფასიან არხს GMG უხდის მისი არხების გაშვების თანხას; სხვა ქართული ტელეარხები ჩართულია უფასოდ, როგორც ამას კომპანიის ტექნიკური დირექტორი ვასილ მღებრიშვილი აცხადებს. „ბლექ სი სატი“ ადგილობრივად ახორციელებს პროდიუსირებას, გადაცემას და სატელიტზე მიბმას.[69]

„ბლექ სი სატი“ ადრე რეგისტრირებული იყო, როგორც Mediacation. იგი 2011 წლის მარტში დაარსდა. მისი დირექტორი მამუკა ცქიტიშვილი აქციების 5 %-ს ფლობს.[70] შპს „ბლექ სი გრუფს“ კომპანიის საკონტროლო პაკეტი აქვს, აქციების 70 პროცენტით. „ბლექ სი გრუფს“ ჰყავს დობილი კომპანია „ბლექ სი როუდი“. ორივე სამშენებლო კომპანიაა, ისინი გზის მშენებლობის სამთავრობო პროექტებში არიან ჩაბმული. მათი მფლობელები არიან გიორგი კალანდაძე და ამირან მამუჭაძე.[71] მედიაში გაჟღერდა, რომ „ბლექ სი გრუფი“ დაკავშირებულია პარლამენტის წევრთან და უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან, გივი თარგამაძესთან. ცქიტიშვილი ამ მოსაზრებას უარყოფს.[72] „ბლექ სი სატის“ ტექნიკური დირექტორი ვასილ მღებრიშვილი ამბობს, რომ ამ კომპანიასა და მმართველ პარტიას - ნაციონალურ მოძრაობას შორის კავშირი არ არსებობს. მღებრიშვილმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ ინტერვიუში განაცხადა: „გივი თარგამაძე კომპანიის ტერიტორიაზე არასოდეს მინახავს.“ „ბლექ სი

---

[66] დაყენება, სატელიტური ანტენა და მიმღები ღირს 199 ლარი.

[67] „ბლექ სი სატი“ იყენებს სატელიტს Turksat 2A/3A 42°-ზე აღმოსავლეთით და შემდეგი არხები აქვს: 1 არხი, (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი GPB, ასევე HD), „რუსთავი 2“, „იმედი“, აჭარის ტელევიზია (მთავრობის), მეორე არხი (სსმ GBP), ერთსულოვნება, რეალ TV, მზე, „მაესტრო“, „მაესტრო მუსიკა“, „ენკი-ბენკი“ „კავკასია“, „დია ტვ“, „საქართველო“, „ახალი არხი“, „სთაილ თივი ჯორჯია“, MyVideo TV, News TV, აფხაზეთის ხმა (HD), და ფასიანი პროვაიდერის GMG-ის რამდენიმე არხი; წყარო Flysat.com, http://www.flysat.com/turksat42.php; http://bssat.ge/.

[68] „ბლექ სი სატი“ იყენებს კოდირების სისტემას სახელწოდებით Trophy Access 2.0, რომლის მწარმოებელია უკრაინული კომპანია. ტექნოლოგია არ იყენებს სმარტ ქარდის პრინციპს. იგი სიგნალის კოდირებისათვის „ბლექ სი სატის“ მიმღების გამოიყენებას მოითხოვს. ამ ტექნოლოგიის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ მეტი ინფორმაცია იხილეთ: http://www.trophy.com.ua/en/products/. ამ ვებგვერდის მიხედვით, Trophy-ს საქართველოში შვილობილი კომპანია აქვს - Trophy-Caucasus LTD (ID: 202451015). მისი მფლობელია გიორგი აბუაშვილი, მღებრიშვილის ახლო მეგობარი. კომპანიის დირექტორი გიორგი აბუაშვილი იყო „ბლექ სი სატის“ იურიდიული წინამორბედის - LLC Mediacashen-ის მფლობელი. მღებრიშვილის ახლო ნათესავი აბუაშვილი ამჟამად „ბლექ სი სატის“ აქციების 10%-ს ფლობს.

[69] “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ ვასილ მღებრიშვილთან. ივნისი 2012.

[70] ბლექ სი სატი (ID: 417875115) ამონაწერი სახელმწიფო რეესტრიდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=322981&app_id=370750.

[71] ბლექ სი გრუფის (ID: 204477734) მფლობელია გიორგი კალანდაძე (25%) და ბლექ სი როუდი (75%); ბლექ სი როუდს (ID: 204472061) ფლობს გიორგი კალანდაძე (50%) და ამირან მამუჭაძე (50%).

[72] Media.ge: ბლექ სი სატი მაუწყებლობას მაისში დაიწყებს, 11 აპრილი 2012, http://www.media.ge/en/stories/blackseasattolaunchbroa0.

სატის“ საქმიანობა არ უკავშირდება არცერთ პოლიტიკურ პარტიას. ჩვენ ვართ ბიზნესი, რომელსაც პოზიტიური მომავალი აქვს.”[73]

იგი არ აკონკრეტებს, თუ რამდენი კლიენტი ჰყავდა კომპანიას არსებობის პირველ კვირებში, სანამ იგი სრულფასოვან ვებგვერდს აამუშავებდა და სარეკლამო კამპანიას დაიწყებდა.

მღებრიშვილის სიტყვებით, კომპანიამ ათი წლით იჯარით აიღო რეტრანსლაციის აპარატი „თურქსატზე“ და რამდენიმე მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება მოახდინა პროექტში.

მან ასევე გააკეთა მინიშნება, რომ „ბლექ სი სატს“ ბევრ ქართულ არხთან ექსკლუზიური სახელშეკრულებო ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა ამ კონტრაქტების პირობებთან დაკავშირებით დეტალურად არ უსაუბრია. „რეტრანსლატორის ქირაობა ძალიან ძვირია. ჩვენ ვერ გავრისკავთ, რომ ერთ დღეს სატელევიზიო სადგური გადაწყვეტს სხვა სატელიტზე გადასვლას და ჩვენს ინვესტიციას რისკის ქვეშ ჩააყენებს,“ აღნიშნა მღებრიშვილმა.[74] მოგვიანებით მღებრიშვილმა განმარტა, რომ „ბლექ სი სატს“ ეროვნული მაუწყებლებისთვის არ უთხოვია, სხვა სერვისპროვაიდერებთან თანამშრომლობა შეეწყვიტა.

მღებრიშვილმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ საუბარში აღნიშნა , რომ უხარია, როცა ხედავს საქართველოში მომრავლებულ „Global TV“-ის სატელიტურ ანტენებს, (იხ. თავი ქვემოთ). „ეს ანტენები ნამდვილი განძია ჩვენთვის. მომავალში ამ ხალხს ჩვენს გადამცემებს მივცემთ და ისინი თავიანთი ანტენებით „ბლექ სი სატის“ ცქერას შეძლებენ,“ ამბობს მღებრიშვილი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ საუბრისას ქართული ტელევიზიების რამდენიმე ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საუბრობდნენ „ბლექ სი სატის“ „თურქსატის“ ექსკლუზიურ წარმომადგენლობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა არხი, რომელსაც სურს თავის სიგნალი „თურქსატით“ გადასცეს, ხელშეკრულების პირობები „ბლექ სი სატთან“ უნდა შეათანხმოს. მღებრიშვილი ადასტურებს, რომ „თურქსატი“ დაინტერესებული იყო მის კომპანიასთან ექსკლუზიურად მუშაობით და იმით, რომ ყველა ქართული არხი, რომელიც ამჟამად მის სატელიტზეა, „ბლექ სი სატის“ პაკეტში შეეტანა. „ბლექ სი სატის“ ტექნიკური დირექტორი ამბობს, რომ ტელესადგურები მიიღებდნენ უკეთეს პირობებს, თუ „ბლექ სი სატთან“ და არა „თურქსატთან“ იმუშავებდნენ. იგი ასევე სპეკულირებს, რომ როცა „ბლექ სი სატი“ გარკვეულ პოპულარობას მოიხვეჭს და კლიენტთა საკმაო რაოდენობასაც დააგროვებს, ქართული სადგურების არაკოდირებული სიგნალები, რისთვისაც თითოეული არხი ფულს იხდის, შეიძლება გაქრეს.

„მაესტრო“ და „TV9“ ჯერჯერობით უარს აცხადებენ ექსკლუზიურად „ბლექ სი სატთან“ მუშაობაზე. მაესტროს დირექტორი მამუკა ღლონტი ამბობს, რომ არ სურს სრულად „ბლექ სი სატზე“ იყოს დამოკიდებული სატელიტური გადაცემის თვალსაზრისით და ამიტომაც სატელიტის პროვაიდერთან არაექსკლუზიური ხელშეკრულება აქვს დადებული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა –საქართველოსთან“ საუბრისას ღლონტი აცხადებს, რომ ამავდროულად, „ბლექ სი სატთან“ თანამშრომლობით, მისი სადგური უკეთეს პირობებს იღებს, ვიდრე „თურქსატთან“ პირდაპირი მოლაპარაკებით. „მაესტრო“ „თურქსატზე“

[73] http://www.media.ge/en/stories/black_sea_sat_to_launch .
[74] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუები „ბლექ სი სატის“ ტექნიკურ დირექტორთან ვასილ მღებრიშვილთან. 2012წ, 2 და 9 ივლისი.

არსებული ერთადერთი კერძო ქართული არხია (კოდირებული და არაკოდირებული). იგი „მაგთისატის“ პაკეტშიცაა შეტანილი. „კავკასია“ ამბობს, რომ „ბლექ სი სატთან“ ექსკლუზიური ხელშეკრულება აქვს დადებული, რადგან სატელიტური გადაცემისთვის მას მხოლოდ კომპანიის ინფრასტრუქტურაზე უხდება დაყრდნობა.[75] მას შემდეგ, რაც Must Offer რეგულაცია ძალაში შევიდა, „ბლექ სი სატმა“ თავის პაკეტში „9-ე არხიც“ შეიტანა.

Global TV

მომხმარებლის თვალსაზრისით, “Global TV” (ოფიციალური სახელწოდება: „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი”) სხვა სატელიტური ან საკაბელო პროვაიდერების მსგავსად მუშაობს. მომხმარებლამდე ტელეარხების მიწოდებისათვის კომპანია არატრადიციულ საკაბელო ქსელს ან თანამგზავრს, არამედ „მიკროტალღური ინტეგრირებული ტელევიზია, რადიო და ინფორმაციული სისტემის“ (Microwave Integrated Television Radio and Information System - MITRIS) ტექნოლოგიას იყენებს, რომელიც სახმელეთო მიკროტალღურ სიგნალს სატელევიზიო ანძებიდან აღმოსავლეთ საქართველოზე უშვებს.[76]

“Global TV”-ის პაკეტი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამ არხს, „მაესტროს“, „კავკასიას“, ”რეალ TV“-ს, „აფხაზეთის ხმას“, აჭარის ტელევიზიას, 25-ე არხს, ფასიან პაკეტ GMG, ასევე საერთაშორისო არხებს მოიცავს. „Global TV“-ის მიღება შეიძლება თბილისში და მის შემოგარენში, რუსთავში, მცხეთაში, ასევე კახეთის უმეტეს ნაწილში. აბონენტებს „Global TV“-ის არხების საყურებლად სჭირდებათ სატელიტური ანტენა და დეკოდერის ყუთი (მას აწარმოებს იგივე კომპანია, რაც „ბლექ სი სატის“ აბონენტების დეკოდერებს).

„Global TV“-ის მეცხრე არხისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ერთადერთი მსხვილი ოპერატორია, რომელიც უზრუნველყოფს ოპოზიციის არხის მაყურებლამდე მიტანას. უფრო მეტიც, „Global TV“ მნიშვნელოვანი პროვაიდერია შედარებით მცირე არხებისთვის, რომელთაც არ აქვთ სახმელეთო მაუწყებლობის ლიცენზია, როგორიცაა „მაესტრო“, „რეალ TV“ და აფხაზეთის ხმა. “Global TV”-ის სისტემა ამ სადგურებს საშუალებას აძლევს თავიანთი სიგნალები დასავლეთ საქართველოს რეგიონებში გადაისროლონ, სადაც შემდეგ საკაბელო პროვაიდერები ამ სიგნალს თავიანთ საკაბელო სისტემებში შეიტანენ.

“Global TV”-ის, რომელმაც ოპერირება 2006 წელს დაიწყო, საკონტროლო პაკეტის მფლობელი არის ალექსანდრე ივანიშვილი, ბიძინა ივანიშვილის ძმა. იგი აქციების 66.8%-ს ფლობს. სხვა აქციონერები არიან ალექსანდრე რონზჰესი (აშშ-ის მოქალაქე, რომელიც 17%-ს ფლობს), ოლღა სვანიძე (10%), დავით კაპანაძე და დავით შველიძე (3% თითოს).[77] “Global TV”-ის განცხადებით კომპანიას მიკროტალღური მაუწყებლობისათვის, სატელევიზიო სიგნალების ტრანსლირებისათვის (როგორც საკაბელო პროვაიდერი) და პროგრამების პროდიუსირების 10-წლიანი ლიცენზია აქვს. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით, “Global TV”-ს 2011 წელს დაახლოებით 15 000 კლიენტი ჰყავდა.

---

[75] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ „მაესტროს“ აქციონერ მამუკა ღლონტთან. ივნისი, 2012.

[76] ტექნოლოგიის სიღრმისეული აღწერა იხილეთ ამ საპატენტო დოკუმენტაციაში: http://www.wipo.int/patentscope/search/en/WO2003088523; „Global TV“-ის განცხადებით ტექნოლოგია ოჯახებს საშუალებას აძლევს სიგნალი მიიღონ DVB-S სტანდარტით 30-დან 60 კმ-მდე რადიუსით, როცა გადამცემი სატელევიზიო ანძაზეა ან მთაზეა დამონტაჟებული.

[77] საქართველოს საჯარო რეესტრი, ამონაწერი Global Contact Consulting-ის შესახებ https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=400768&app_id=465119.

“Global TV”-ის მარკეტინგის და განვითარების დირექტორმა ზურაბ ბაზლიძემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან“ ივნისის ბოლოს გამართული საუბრისას აღნიშნა, რომ მისმა კომპანიამ საქართველოში 107 000 სატელიტური ანტენა შემოიტანა, აქედან 25 000-ზე მეტი უკვე დამონტაჟდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, კომპანიას 14-15 ათასი გადამხდელი კლიენტისგან შემდგარი ბაზა აქვს. სააბონენტო გადასახადი თვეში 12 ლარიდან იწყება.[78]

გაზაფხულზე “Global TV”-მ დაიწყო ახალი კლიენტებისათვის ათწლიანი კონტრაქტების შეთავაზება, რომელიც ითვალისწინებდა აპარატურის უფასოდ გადაცემას და დამონტაჟებას და ერთი წლით მომსახურების საფასურისგან გათავისუფლებას. აბონენტებს ამ ხელშეკრულებით ყოველთვიური გადასახადის - 4 ლარის გადახდა მეორე წლიდან შეეძლებოდათ (ათი წლის მანძილზე აბონენტი სულ 432 ლარს გადაიხდიდა.)

კომპანია დასავლეთ საქართველოში მიკროტალღული გადამცემების სისტემით არ ოპერირებს. „Global TV“-ის წარმომადგენლებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განუცხადეს, რომ ინფრასტრუქტურის გაფართოება ვერ შეძლეს შესაძლო საბოტაჟის და გადამცემების დასაყენებელი ადგილების პოვნასთან დაკავშირებული პრობლემის გამო.[79] რეგიონში „Global TV“-მ დაინტერესებულ კლიენტებს სატელიტური ანტენები გადასცა და მათ დამონტაჟებაშიც დაეხმარა, რათა „თურქსატის“ უფასო არხების ნახვა თავისუფლად შეძლებოდათ. „Global TV“-ის წარმომადგენლებმა ასევე არაოფიციალურად განაცხადეს, რომ ზოგიერთ რეგიონში პოტენციური კლიენტები არაფორმალურად გააფრთხილეს თუ ურჩიეს ადგილობრივ მთავრობასთან შეკრულმა პირებმა, თავი შეეკავებინათ სატელიტური ანტენების შეძენისაგან.[80]

უფრო მეტიც, კომპანიამ განაცხადა, რომ ტექნიკური აღჭურვილობის, მათ შორის მიმღებების, საქართველოში შემოტანისას მათი უმეტესი ნაწილი განადგურებულ იქნა საბაჟოს ტერიტორიაზე ყოფნისას. საბოტაჟმა, კომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებით, 100 ათას დოლარზე მეტი ზარალი გამოიწვია.[81] ანალოგიურად, მეცხრე არხის განცხადებით, ტელევიზიის აპარატურა განბაჟების მოლოდინში ყოფნისას დაზიანდა. ამ განცხადებებს მთავრობა გადაჭრით უარყოფს.[82]

ბაზლიძე აღიარებს, რომ „ბლექ სი სატი“ „Global TV“-ის მთავარი კონკურენტია და თუ ისეთი არხები, როგორიც „მაესტროა“ „თურქსატზე“ არაკოდირებული სიგნალისთვის ფულს აღარ გადაიხდიან და სანაცვლოდ „ბლექ სი სატთან“ იმუშავებენ, ამით „Global TV“ ბევრ იმ კლიენტს დაკარგავს, რომლებიც ამ არაკოდირებულ არხებს უყურებენ.

აპრილში კომუნიკაციის ეროვნულმა კომისიამ „Global TV“ გააფრთხილა საავტორო უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ, განაცხადა რა, რომ კომპანიას მარეგულირებლისთვის არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი საკმარისი დოკუმენტაცია, რომ მას ჩვენების უფლება აქვს ზოგიერთ იმ არხზე, რომელსაც იგი გადასცემს. „Global TV“ აცხადებს, რომ კომისიას ყველა ხელშეკრულება წარუდგინა,

[78] Global TV-ის განცხადებით თითოეულ ოჯახში დამონტაჟებული აპარატურის ღირებულება დაახლოებით 110 ლარია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ ზურაბ ბაზლიძესთან. 2012 წლის აპრილი და ივნისი.
[79] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუები ზურაბ ბაზლიძესთან http://www.media.ge/en/stories/global_tv_attempting.
[80] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუები ზურაბ ბაზლიძესთან http://www.media.ge/en/stories/global_tv_attempting.
[81] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ინტერვიუები ზურაბ ბაზლიძესთან.
[82] Civil.ge: ხელისუფლება აცხადებს, რომ ივანიშვილის მოძრავი სატელიტური მანქანისათვის ზიანის მიყენების ბრალდება „მიუღებელია“ 15 თებერვალი, 2012, http://www.civil.ge/eng/article.php?id=24450.

მაგრამ შემდგომ მარეგულირებელმა მოითხოვა წარმოედგინათ დოკუმენტაცია, რომ თავად უცხოურ არხებს ჰქონდათ მაუწყებლობის უფლება, რომელსაც ისინი ვერ წარადგენენ. Global TV აცხადებს, რომ შეუძლებელია ასეთი დოკუმენტაციის წარდგენა, რადგან უცხოურ არხებთან მათი ხელშეკრულებები შუამავლების გავლით წარმოებს.[83]

14 ივნისს, აშშ-ის მოქალაქე ალექსანდრ რონზჰესი, რომელიც „Global TV"-ის აქციების 17.2%-ს ფლობს, დაიკითხა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ფულის გათეთრების საქმეზე თბილისის აეროპორტში, როცა იგი ცდილობდა ქვეყანა დაეტოვებინა. დაკითხვა 5 საათს გაგრძელდა.[84] ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა განაცხადა, რომ რონზჰესმა უძრავი ქონებისთვის საბაზრო ფასის ორმაგი ოდენობა მიიღო, როცა ის 3.2 მილიონ ლარად გაყიდა. ხელისუფლების განცხადებით გამოძიება მაშინ დაიწყო, როცა მან თავისი საბანკო ანგარიშიდან დიდი ოდენობის თანხა მოხსნა.[85]

იმედი, რუსთავი 2 და Global TV

„რუსთავი 2"-მა, „იმედმა", „მზემ", „ახალმა არხმა" და „საქართველომ" „Global TV"-ისთვის მიცემული რეტრანსლირების ნებართვა მარტში უკან გამოითხოვა და სასამართლოში ჩივილით დაემუქრა, თუ კომპანია პაკეტიდან მათ არხებს არ ამოიღებდა. ამ ნაბიჯს, "Global TV"-ის სტრატეგიული პოზიციიდან და პოლიტიზებული გარემოდან გამომდინარე, როგორც ჩანს, პოლიტიკური და არა ეკონომიკური მოტივი ედო საფუძვლად.[86]

„Global TV"-მ „რუსთავი 2", „იმედი" და სხვა არხები პაკეტიდან ამოიღო. კომპანიის განცხადებით მხოლოდ რამდენიმე აბონენტი გაეთიშა მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2-მა" და „იმედმა" რეტრანსლირების შეწყვეტა მოითხოვა, და ბევრმა სამთავრობო სტრუქტურამ და სამინისტრომ გააუქმა ხელშეკრულება. მაისში, საქართველოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ „Global TV" შავ სიაში შეიტანა მას შემდეგ, რაც ქალაქ რუსთავის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა არხს აღარ აჩვენებდა.[87]

„Global TV"-ის საპასუხო რეაქცია იყო კლიენტებზე იმ ანტენების მიყიდვა, რომლებიც დეკოდერს უერთდება და კლიენტებს საშუალებას აძლევს „იმედი" და „რუსთავი 2" ანტენით მიიღონ. „Global TV"-ის მიერ კლიენტებისთვის გადაცემული სატელიტური ანტენებისა და მიმღებების გამოყენებით, ოჯახებს შეუძლიათ არაკოდირებული არხები „თურქსატის" მეშვეობით მიიღონ, მათ შორის „რუსთავი 2" და „იმედი". ეს და სხვა სატელევიზიო არხები თავისუფლად შეუძლია მიიღოს სატელიტური ანტენის მქონე ყველა აბონენტმა, როცა მისი ანტენა ამ სატელიტისკენაა მიმართული.

„რუსთავი 2"-მა და „იმედმა" თბილისის საქალაქო სასამართლოს ცალ-ცალკე მიმართეს (2012 წლის 4 და 8 მაისი) მოთხოვნით „Global TV"-ისთვის აეკრძალათ მათი სიგნალების რეტრანსლიაცია. „რუსთავი 2"-ის თხოვნის საპასუხოდ, სასამართლომ სარჩელის

---

[83] Media.ge: კომუნიკაციების ეროვნული კომისია აფრთხილებს Global TV-ს გარკვეული არხების უკანონო ტრანზიტის შესახებ 4 აპრილი, 2012, http://www.media.ge/en/stories/georgian_national_commun; „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ინტერვიუ Global TV-ის წარმომადგენლებთან.

[84] http://civil.ge/eng/article.php?id=24891.

[85] http://is.ge/en/en/News/2174.

[86] Media.ge: Global TV მთავრობას ზეწოლაში ადანაშაულებს 5 აპრილი, 2012, http://www.media.ge/en/stories/global_tv_accuses_govern; „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ინტერვიუ Global TV-ის წარმომადგენლებთან.

[87] საქართველოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=14&info_id=801.

უზრუნველყოფის ფარგლებში, ღონისძიება, რომლის განხორციელებაც სასამართლო მოსმენის გარეშე შეიძლება, განჩინებით დაადგინა, რომ: „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი2-ს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგს“ აეკრძალოს შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ს” არხის ნებისმიერი ფორმით რეტრანსლირება, მათ შორის საკუთარი აბონენტებისათვის დამონტაჟებული ანტენებიდან მიღებული სიგნალის მისივე მიმღების „რესივერების“ მეშვეობით გადაცემის გზით“.[88] ეს განჩინება, რომელიც მოსამართლე სოსო ღურწკაიამ დაადგინა და რომელმაც „იმედის“ მიმართვაც განიხილა, ჯერ ძალაში არ შესულა, თუმცა მისი შინაარსი შეიძლება „Global TV“-ის მიმღებებზეც გავრცელდეს, მიუხედავად იმისა, რომ მიმღების საშუალებით აბონენტს შეუძლია უფასო სიგნალები მიიღოს, რაც კომპანიის კონტროლს არ ექვემდებარება.

Global TV და ამომრჩეველთა მოსყიდვა

6 ივნისს კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა (ახლახან გადაერქვა სახელმწიფო აუდიტის სამსახური), რომელსაც პარტიების დაფინანსების კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგი ევალება, დაადგინა, რომ „Global TV“-ს ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნება“ მისი „პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებისთვის“ იყენებს. ამისთვის იგი „ამომრჩევლებს მასიურად უფასოდ ურიგებს ათობით ათას სატელიტურ ანტენას.“

ამ ფაქტის დასადასტურებლად სამსახურმა მოიყვანა სურათები, სადაც „ქართული ოცნების“ მაისურებში გამოწყობილი „Global TV“-ის თანამშრომლები არიგებენ და ამონტაჟებენ სატელიტურ ანტენებს. სამსახურს რამდენიმე ადამიანის ჩვენებაც მოჰყავს, რომლებიც ამბობენ, რომ „Global TV“-ის თანამშრომლებმა მათ უთხრეს, რომ სატელიტური ანტენები ბიძინა ივანიშვილის საჩუქარი იყო. სამსახურმა დაასკვნა, რომ არსებობს აშკარა მტკიცებულება იმისა, რომ სატელიტური ანტენები დარიგდა და დამონტაჟდა ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით და რომ ბიძინა ივანიშვილი „Global TV-ის“ დე ფაქტო მფლობელია. იგი „Global TV“-ს და სხვა რამდენიმე კომპანიას იყენებს პარტიების დაფინანსების წესებით დაწესებული ლიმიტების გვერდის ასავლელად.[89] სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასევე განაცხადა, რომ „Global TV“-ის საქმიანობა - მომხმარებლებისთვის ათი წლით 4 ლარიანი სააბონენტო გადასახადის შეთავაზება, თანაც ისე, რომ პირველი წელი ისინი გადასახადისგან გათავისუფლებული იქნებიან, უბრალოდ ცუდად მოფიქრებული ბიზნეს გეგმა არ იყო.

11 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ივანიშვილი „Global TV“-ის ბენეფიციარ მფლობელად სცნო. სასამართლომ აღნიშნა, რომ ივანიშვილის „ქართუ“ ბანკიდან მისი ძმის, „Global TV“-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელის, ალექსანდრესთვის გამოყოფილი სესხი გამოყენებულ იქნა „Global TV“-ის კამპანიისთვის, რომელიც გულისხმობდა სატელიტური ანტენების დარიგებას, რათა აბონენტებს მიეღოთ სხვადასხვა არხები, მათ შორის მეცხრე არხი.[90]

---

[88] თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

[89] სახელმწიფო აუდიტის სააგენტო: ფინანსური მონიტორინგის სამსახურის განცხადება 6 ივნისი, 2012, http://www.control.ge/eng/news/id/245.

[90] ამ დროს ივანიშვილი ეროვნული ბანკის დოკუმენტებში „ქართუ ბანკის“ ბენეფიციარ მფლობელად იყო აღიარებული. ივანიშვილი ამბობს, რომ მის შემდეგ მან ქონება გაყიდა, მთავრობამ იგი აუქციონზე გამოიტანა, რათა მასზე დაკისრებული ჯარიმები დაეფარა. Civil.ge: ივანიშვილის დაყადაღებული აქტივები აუქციონზე გაიტანეს, 2 ივლისი, 2012, http://www.civil.ge/eng/article.php?id=24956.

სასამართლომ მხარი დაუჭირა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარდგენილ არგუმენტებს და არ მიიღო მხედველობაში მოპასუხის პეტიცია, მათ შორის არც შუამდგომლობა, ნება მიეცათ „Global TV"-ის წარმომადგენლისთვის, პირადად განემარტა ბიზნეს გეგმა, რომელსაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ის წარმომადგენელი მოისმენდა, რომელის კომპანიის ბიზნესმოდელის ანალიზზე მუშაობდა. აუდიტის სამსახურის რეკომენდაციით, სასამართლომ დაადგინა, რომ ივანიშვილმა სატელიტური ანტენების დამონტაჟებით საარჩევნო კამპანიაში უკანონო წვლილი შეიტანა. დარღვევა 12,622,019 ლარად შეფასდა (აპარატურის ღირებულება, ინსტალაცია და ლოჯისტიკა). ამ დარღვევისათვის, ივანიშვილი დარღვევის ათმაგი ოდენობით, 126,220,190 ლარით დაჯარიმდა.[91]

12 ივნისით დათარიღებულ წერილში სახელმწიფო აუდიტის სამსახური „Global TV"-ს სთხოვდა, „ ... შეაჩეროთ დღეს არსებული პრაქტიკის შესაბამისად ტექნიკური საშუალებების მონტაჟი და მომსახურების გაწევა; საქმიანობა წარმართოთ საბაზრო ფასების გათვალისწინებით, თქვენი ბიზნეს ინტერესების შესაბამისად, რაც არ იქნება წინააღმოდეგობაში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებთან."[92]

თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა ივანიშვილის ადვოკატების აპელაცია. დამოუკიდებელი სამთავრობო სააგენტოს ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტმა განაცხადა, რომ „Global TV"-ის შეთავაზებები არ იყო მოგებაზე ორიენტირებული და შესაბამისად, არც ლეგიტიმური. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ მიიღო ივანიშვილის ადვოკატების არც ერთი შუამდგომლობა და 15 ივნისს გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც პირველი ინსტანციის მიერ დაწესებული ჯარიმა 50%-ით შემცირდა რამაც 63,110,095 ლარი შეადგინა.

„Global TV"-ის ანტენების დაყადაღება

21 ივნისს, ნაშუადღევს, ხელისუფლებამ სულ მცირე 70 ათასი სატელიტური ანტენა, მიმღები და სხვა აპარატურა დააყადაღა, რომელიც თბილისში მდებარე საწყობსა და სხვა შენობებში იყო განლაგებული და რომელთაც „Global TV" აპარატურის რეგიონებში შესანახად იყენებდა.[93] პრესრელიზში პროკურატურა „Global TV"-ს ბრალს სდებდა საქართველოს რეგიონებში სატელიტური ანტენების „უფასოდ" გავრცელებაში, აცხადებდა რა, რომ მიუხედავად აუდიტის სამსახურის თხოვნისა, კომპანია მაინც განაგრძობდა ამ საქმიანობას. პროკურატურამ სატელიტური ანტენების დაყადაღება მოითხოვა, რათა „შესაძლო დანაშაულის თავიდან აცილება" მოეხდინა.[94]

პროკურატურის შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, რომელიც ეთანხმებოდა განცხადებას, რომ „Global TV"-მ სატელიტური ანტენების კლიენტებისათვის დარიგებით ამომრჩევლები მოისყიდა. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ იყო შესაძლებლობა, რომ „Global TV"-ის კუთვნილი

[91] მუხლი 34₂ (2,9), საქართველოს კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ.
[92] სახელმწიფო აუდიტის სამსახური: წერილი 1126/57 „Global TV"-ს. 12 ივნისი, 2012.
[93] დაყადაღებული ანტენებისა და მიმღებების რაოდენობის შესახებ სხვადასხვა ვერსიები არსებობს, ზოგის თანახმად მათი რაოდენობა 100,000 პაკეტი იყო. Civil.ge: Global TV-ის სატელიტური ანტენები დააყადაღეს, 21 ივნისი 2012, http://civil.ge/eng/article.php?id=24908.
[94] საქართველოს მთავარი პროკურორის ოფისის განცხადება, 21 June, 2012, http://justice.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=23&info_id=4509.

ქონება დანაშაულის ჩადენისათვის - ამომრჩევლების მოსყიდვა - ყოფილიყო გამიზნული, ამიტომ აპარატურის დაყადაღება უნდა მომხდარიყო.[95]

დაყადაღების იურიდიულ დასაბუთებასთან დაკავშირებით კითხვები რჩება: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151(1) მუხლით, დანაშაულში ბრალდებული პირის ქონების დაყადაღება (ან პირის, რომელიც პასუხისმგებელია მის ან მასთან დაკავშირებული პირის ქმედებებზე) ნებადართულია. ეს მუხლი ძალაშია, როცა პირს წაყენებული აქვს ბრალდება.

სისხლის სამართლის კოდექსის 164(1) მუხლით, ელექტორატის მოსყიდვა სისხლის სამართლის დანაშაულია, თუმცა არ ითვალისწინებს შესაძლო სანქციის სახით ქონების დაყადაღებას. გარდა ამისა, „Global TV"-ის ქონება ისე დააყადაღეს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალდება არავისთვის წაუყენებიათ. ამიტომ, 151 მუხლის 1 პუნქტი ამ შემთხვევას არ მიესადაგება.

სასამართლოს გადაწყვეტილების არგუმენტებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლომ ქონების დაყადაღებისას იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151 (2) მუხლით. ამ მუხლით ქონების ყადაღა ნებადართულია მაშინ, როცა არსებობს საკმაო მტკიცებულება იმისა, რომ ეს ქონება გამოიყენება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, რაც მინიმუმ ათი წლით პატიმრობას ითვალისწინებს. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსის 164[1] მუხლით, ხმების მოსყიდვა მაქსიმუმ სამი წლის პატიმრობით ისჯება, რაც მას არ აძლევს მძიმე დანაშაულის კვალიფიკაციას. ანუ, მუხლი 151 (2) ამ შემთხვევაში ყადაღას ვერ გაამართლებს.

მუხლით 151(3) ნებადართულია იმ ქონების დაყადაღება, რომელიც კორუფციისთვის იყო გამოყენებული. კანონის ეს დებულება მაშინ მოქმედებს, თუ ეს ქონება უკვე გამოიყენეს მათ შორის კორუფციისთვის და არ წარმოადგენს იურიდიულ საფუძველს იმისათვის, რომ ქონება მომავალში შესაძლო კორუფციის აღკვეთის მიზნით იქნას დაყადაღებული.

ტელეკომპანია მაესტროს სატელიტური თეფშები დაყადაღებულია

ივლისის დასაწყისში „მაესტრომ" გამოაცხადა, რომ ოჯახებისთვის სიმბოლური თანხის სანაცვლოდ სატელიტური ანტენების დარიგებას აპირებდა, რათა ტექნიკურად მისი წვდომა გაეზარდა. კომპანიის დირექტორმა, ილია კიკაბიძემ media.ge-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მიმღებებს და თეფშებს რეგიონებში ყველა მოსახლეს გადასცემდნენ სარეკლამო კამპანიის ფარგლებში, აპარატურის შესყიდვას კი კომპანიის მფლობელები უზრუნველყოფდნენ.[96]

11 ივლისს ხელისუფლებამ „მაესტროს" მიერ იმპორტირებული ათი ათასამდე სატელიტური ანტენა დააყადაღა, ეს მანამდე მოხდა, სანამ ტელევიზია მათ დარიგებას დაიწყებდა. პროკურატურამ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს თანხმობით მოქმედებდა, განაცხადა, რომ მაესტრომ სატელიტები შემოიტანა კოალიცია „ქართულ ოცნებასთან" დაკავშირებული კომპანიის, „შპს „ელიტა ბურჯის" დავალებით."[97] 16 და 22

[95] თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება 21 ივნისი, 2012, Global TV-ის სატელიტური ანტენების დაყადაღების თაობაზე, http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/ganchineba%2021-06-2012.pdf.

[96] Media.ge: მაესტრო ერთ კვირაში დაიწყებს სატელიტური ანტენების ინსტალაციას, 3 ივლისი, 2012. http://www.media.ge/en/stories/maestrostartstheinstall.

[97] პროკურატურის განცხადება, 11 ივლისი, 2012, http://justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23&info_id=4556 .

ივლისს დამატებით ათასობით სატელიტური ანტენების სხვა პარტიების დაყადაღება მოხდა.[98]

პროკურატურის პრესრელიზში ვკითხულობთ: "გამოძიების ხელთ არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ აღნიშნული ანტენები კვლავ გამოყენებული იქნება მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ გადასაცემად იმავე სქემით, როგორც ეს უკვე განხორციელდა ბოლო დროის განმავლობაში „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" მიერ."[99]

„მაესტროს" გენერალურმა დირექტორმა ბაჩო კიკაბაძემ უარყო კომპანიის რაიმე კავშირი ივანიშვილთან დაკავშირებულ კომპანიებთან ან „ქართულ ოცნებასთან" და პროკურატურის განცხადებებს „აბსურდული" უწოდა".[100] „მაესტრომ" თავის განცხადებაში ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ არჩევნებზე ამბიცია არ ჰქონდა და არ მონაწილეობდა არცერთ პოლიტიკურ კამპანიაში.

სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ", ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და კოალიციამ „ეს შენ გეხება" აღშფოთება გამოხატეს დაყადაღების კანონისმიერ დასაბუთებასთან დაკავშირებით და მთავრობას სთხოვეს, მტკიცებულება წარმოედგინა და გაემყარებინა განცხადებები, რომ „მაესტრო" ოპოზიციის სახელით მოქმედებდა და ხმების მოსყიდვას ცდილობდა.[101]

ეუთოს მედიის თავისუფლების ოფისის წარმომადგენელმა დუნია მიატოვიჩმა განაცხადა, რომ იმედოვნებს სასამართლოს გადაწყვეტილება „მაესტროს" ანტენების დაყადაღების შესახებ უარყოფითად არ იმოქმედებს არხის მაყურებლების უფლებაზე თავისუფლად მიიღონ ინფორმაცია.[102]

დავა პირველ სტერეოსა და სტერეო + თან დაკავშირებით

გაზაფხულზე „სტერეო+", კიდევ ერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კომპანია, მფლობელობასთან დაკავშირებული დავის საგანი გახდა.

"სტერეო+" ქართველ მაუწყებლებს ტექნიკურ მომსახურებას სთავაზობს, მათ შორის სატელიტური და წერტილიდან წერტილამდე სიგნალის გადაცემას, ტექნიკური აღჭურვილობის შეკეთებას და ტრეინინგს. კომპანიის დამფუძნებელი, დირექტორი და საკონტროლო პაკეტის (68%) მფლობელი დავით ზილფიმიანი აცხადებს, რომ საქართველოში სხვა კომპანია მსგავს მომსახურებას არ სწევს და არც იგივე ექსპერტიზა აქვს. ზილფიმიანის სიტყვებით, საქართველოში მაუწყებელთა უმეტესობა უკვე წლებია "სტერეო+"-ის კლიენტია.[103] ზილფიმიანის განცხადებით საკუთარი ტექნიკური

---

[98] Media.ge: „მაესტროს" კიდევ 8 ათასი ანტენა დაუყადაღეს, 17 ივლისი, 2012, http://www.media.ge/stories/maestroskidev8atasianten; Civil.ge: More Satellite Dishes, Imported by Maestro TV, Impounded, 24 July, www.civil.ge/eng/article.php?id=25037.

[99] პროკურატურის განცხადება, 11 ივლისი 2012, http://justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23&info_id=4556 .

[100] Civil.ge: 11 ივლისი, 2012, http://www.civil.ge/eng/article.php?id=24992.

[101] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" და "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მოუწოდებენ ხელისუფლებას განმარტონ, რის საფუძველზე ხდება "მაესტროს" სატელიტური თეფშების დაყადაღება", 11 ივლისი 2012, http://transparency.ge/post/press-release/%E2%80%9Esaertashoriso-gamchvirvaloba-s ; კამპანია „ეს შენ გეხება" აპროტესტებს „მაესტროს" კუთვნილი სატელიტური ანტენების დაყადაღების ფაქტს, 13 ივლისი, 2012, http://transparency.ge/post/general-announcement/es-shen-gekheba-gantskhadeba-maestro .

[102] ეუთო (OSCE): პრესრელიზი – ეუთოს მედიის თავისუფლების ოფისის წარმომადგენელი შეშფოთებულია საქართველოში ჟურნალისტებისადმი განმეორებადი ძალადობით და მათი დაშინებით. 16 ივლისი, 2012, http://www.osce.org/fom/92206.

[103] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ინტერვიუ დავით ზილფიმიანთან, 2012 წლის მაისი. ამონაწერი კომპანიის რეესტრიდან. https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=421241&app_id=491690.

ექსპერტიზის წყალობით, "სტერეო+"-ს შესწევს უნარი მაუწყებლებს დაეხმაროს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლაში.

მაისში ზილფიმიანი მუსიკალური არხის 1 სტერეოს დირექტორობიდან გადააყენეს, რომლის დამფუძნებელი და მინიმალური აქციების მფლობელიც თავად არის. 1 სტერეოს საკონტროლო პაკეტის მფლობელი ვასილ კობაიძე (65%) გახდა, რომელმაც ზილფიმიანი შემდეგ ტელევიზიის შენობაში არ შეუშვა.[104] ზილფიმიანი კობაიძეს მოიხსენიებს, როგორც პარლამენტის უმრავლესობის (ნაც. მოძრაობა) წევრის დავით ბეჟუაშვილის სიძედ, რომელიც თავის მხრივ დაზვერვის სამსახურის უფროსის გელა ბეჟუაშვილის ძმაა. ბეჟუაშვილების ოჯახი 1 სტერეოს (ასევე „მზის" და „რუსთავი 2-ის") აქციებს ფლობდა „ქართული ინდუსტრიული ჯგუფის" საშუალებით (მარშალის კუნძულებზე დაარსებული „ფორმალური კომპანია" Chemexim International LTD -ის გავლით). ეს ხდებოდა მანამ, სანამ დეკემბერში ძალაში შევიდა მედიის მფლობელთა შესახებ გამჭვირვალობის კანონი, რომელმაც მფლობელთა ხელახალი რეგისტრაცია განაპირობა.

1 სტერეო „სტერეო+"-თან უშუალოდ არ იყო დაკავშირებული, თუმცა კობაიძეს „სტერეო+"-ის აქტივებზე ყადაღა ჰქონდა დადებული, კომპანიის სამაუწყებლო ლიცენზიები კი გაყინული იყო.[105] საჯარო საბუთების თანახმად, 19 მაისს, შაბათს, 19:18 და 19:26 შორის მონაკვეთში საქართველოს სახელმწიფო რეესტრმა დააკმაყოფილა ამ აქტივების დაყადაღების მოთხოვნა.[106] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" სახელმწიფო რეესტრის თანამშრომლებმა განუცხადეს, რომ შაბათ-კვირას სააგენტო, როგორც წესი, განაცხადებს არ ამუშავებს, მათ შორის არც დაყადაღების შესახებ შუამდგომლობას.

ივნისში „სტერეო+" აჭარის ტელევიზიის მოთხოვნით სახელმწიფო შესყიდვების შავ სიაში მოხვდა. აჭარის ტელევიზიის განცხადებით, „სტერეო+" ვერ აკმაყოფილებდა ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობებს.[107]

ზილფიმიანმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" განუცხადა, რომ 1 სტერეოს პარტნიორებთან პრობლემები მას შემდეგ დაიწყო, რაც მან აქციების ნაწილი მის ვაჟს, იტალიის მოქალაქეს გადასცა და კომპანიამ მეცხრე არხთან მომსახურების კონტრაქტი გააფორმა, რაც გულისხმობდა იმ აპარატურის შეკეთებას, რომელიც „TV9"-ის თქმით, საბაჟოზე ყოფნისას დაზიანდა და დაიმტვრა.

1 სტერეოს დირექტორის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ, რამდენიმე დღეში ზილფიმიანმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" განუცხადა: „მე ბიზნესმენი ვარ, პოლიტიკაში არ ვარ ჩართული". ეს გადაყენება, მისი თქმით, სხვა აქციონერებთან კონსულტაციის გარეშე მოხდა. „ისინი (აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი და როგორც ამბობენ, მისი პოლიტიკური ზურგი) ნერვიულობდნენ, რომ „სტერეო+"-ს ივანიშვილს მივყიდდი, მაგრამ მე კომპანიის გაყიდვა არ მინდა, მე მინდა, ჩემმა შვილმა მართოს ეს ოჯახური ბიზნესი."

ივნისის დასაწყისში მეცხრე არხის მიღება დროებით თბილისის სახლებში ანტენის საშუალებით შეიძლებოდა. სიგნალის გადაცემაზე პასუხისმგებელი კომპანია „სტერეო+" აცხადებდა, რომ მას არაფერი არაკანონიერი არ გაუკეთებია. მან მეცხრე არხს შესთავაზა

---

[104] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ინტერვიუ დავით ზილფიმიანთან, 2012 წლის მაისი და ივნისი.
[105] ლიცენზიების ტექნიკური საცნობარო ნომერი: F13, F37, F77, F84, F86.
[106]რეგისტრირებული ყადაღების შესახებ ინფორმაცია საჯაროა https://naprlmr.reestri.gov.ge/#st_intro, (Stereo+, ID: 204986408).
[107] საქართველოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 22 ივნისი, 2012, http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=14&info_id=834.

წერტილიდან წერტილამდე სიგნალის გადაცემის მომსახურება. ამ მომსახურებას ის სხვა სატელევიზიო სადგურებსაც სთავაზობდა.[108] 7 ივნისს, „სტერეო+“-მა მიიღო გაფრთხილება და კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 5 000 ლარით დააჯარიმა იმისათვის, რომ „TV9“-ის სიგნალს გადასცემდა და რომ თბილისში ოჯახები არხს ანტენით, უნებართვოდ იღებდნენ („TV9“-ს არ აქვს გენერალური სახმელეთო სამაუწყებლო ლიცენზია). ეს მარეგულირებელმა კომისიამ „სტერეო+“-ის მიერ შესაბამისი სიხშირის ლიცენზიის (NF13) არასათანადო გამოყენებად ჩათვალა. კომისიამ აღნიშნა, რომ „სტერეო+“-ის სიხშირის სპექტრის ლიცენზია მხოლოდ მოძრავი ან ფიქსირებული რადიოკავშირის მომსახურებაზე იყო გაცემული და არა უფასო საეთერო მაუწყებლობაზე.[109]

მეცხრე არხის კონტრაქტორი “გამადიდებელი შუშის” ქვეშ

ვალერი ოდიკაძე ოპერატორი და კინორეჟისორია, რომელმაც სხვებთან ერთად გადაიღო დოკუმენტური ფილმი „Power Trip“. ბოლო პერიოდში თანამშრომლობდა „ბი ბი სისთან“.[110] იგი ასევე არის კომპანია „ვიდეოსკოპის“ დირექტორი. ეს ფირმა ყიდის და აქირავებს ვიდეოაპარატურას და აქვს რამდენიმე მიმდინარე ხელშეკრულება „TV9“–სთან. ამ ხელშეკრულების თანახმად, იგი არხისთვის უზრუნველყოფს ვიდეოპროდუქციის აპარატურას, კამერებს და საკონსულტაციო მომსახურებას.[111] „ვიდეოსკოპი“ მომსახურებას უწევდა „ქართულ ოცნებასაც“, მათ შორის ეხმარებოდა ქუთაისში, ოზურგეთში და სხვა ქალაქებში მიმდინარე მიტინგების პირდაპირი რეპორტაჟების მომზადებაში.

ივნისში შემოსავლების სამსახურმა „ვიდეოსკოპის“ ორფაზიანი საგადასახადო აუდიტი განახორციელა. ოდიკაძე ამბობს, რომ ეს პირველი საგადასახადო ინსპექციაა 2005 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც მან ბიზნესი დაიწყო. მას შემდეგ, რაც საგადასახადომ კომპანიის ინვენტარიზაცია დაასრულა, ვალერი ოდიკაძე, მისი სიტყვებით, 120 ათასი ლარით დაჯარიმდა, რომელიც გადაუხდელი გადასახადებისთვის დაეკისრა. თავად კი ამბობს, რომ მის კომპანიას 70 ათასი ლარი წინასწარ ჰქონდა გადახდილი იმ დროისათვის, როცა აუდიტი დაიწყო. ოდიკაძე აღნიშნავს, რომ შეიძლება მცირე პრობლემებს ადგილი ჰქონოდა, მაგრამ ამხელა ჯარიმა მაინც გაუმართლებელია. წინამდებარე კვლევის ბეჭდვის მიმდინარეობის პერიოდში შემოწმების საბოლოო შედეგები ვიდეოსკოპისათვის ჯერ არ უცნობებიათ.

ოდიკაძე აცხადებს, რომ მისი კომპანიის აუდიტი პოლიტიკური მოტივაციით განხორციელდა და რომ კომპანია „დაისაჯა“ „TV9“–სთან თანამშრომლობის გამო. „საგადასახადოს ინსპექტორებთან საუბრისას მივხვდი, რომ განსაკუთრებით მეცხრე არხის ინვოისები და ხელშეკრულებები აინტერესებდათ და მათთვის მნიშვნელოვანი იყო დაედგინათ ამ არხის ზოგადი ტექნიკური სიმძლავრე. ასევე შევნიშნე მათი გულისწყვეტა, როცა უფროსებს ესაუბრებოდნენ. ალბათ დიდმასშტაბიან ოპერაციებს ელოდნენ, რაიმე პირდაპირ (პოლიტიკურ) დაფინანსებას“ - განაცხადა ოდიკაძემ „საერთაშორისო

---

[108] Media.ge: მეცხრე არხი მეტრულ სიხშირეზე აჩვენებს, 5 ივნისი, 2012, http://www.media.ge/en/stories/ninthchannelavailableatm.

[109] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია: სტერეო+ სანქციებს დაუქვემდებარეს, 7 ივნისი, 2012. http://www.gncc.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=110&info_id=112609.

[110] იხ: http://powertripthemovie.com/bios.html.; „ბიბისის“ დოკუმენტურ ფილმში „პუტინი, რუსეთი და დასავლეთი“ იგი მუშაობდა ოპერატორად და აღჭურვილობის პროვაიდერად.

[111] „ვიდეოსკოპის“ მფლობელები არიან რუსეთის მოქალაქეები – იური გუბაკინი და ვალერი სმირნოვი. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. Registry, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=418293&app_id=488605. Videoscope.ge, http://www.videoscope.ge/portal/alias__Videoscope/lang__ka-GE/tabid__2762/default.aspx.

გამჭვირვალობა –საქართველოსთან“ საუბარში; „ვშიშობ, ჯარიმებს დაგვაკისრებენ და ჩვენი ბიზნესი დაიხურება.“ [112]

ფინანსთა სამინისტროს განცხადებით კომპანია ვიდეოსკოპის აუდიტური შემოწმება შემოსავლების სამსახურის მიერ რისკების შეფასების საფუძველზე განხორციელდება. აღნიშნული პროცედურა შეესაბამება 2012 წლის დასაწყისში დამტკიცებული სააუდიტო გეგმას. ფინანსთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ ვიდეოსკოპი ინვენტარიზაციის შემდეგ დაჯარიმდა. თუმცა სამინისტრომ საჯარიმო სანქციის ოდენობის არ გაამხილა.[113]

საგამოძიებო ჟურნალისტთა აპარატურის ქურდობა

21-22 ივლისის ღამეს დაუდგენელი ქურდები შეიჭრნენ ქვეყნის წამყვან საგამოძიებო ჟურნალისტთა სტუდია „მონიტორის“ ოფისში. თბილისის ცენტრში მდებარე ოფისიდან მოიპარეს აპარატურის დიდი ნაწილი, მათ შორის ორი კამერა, შტატივები, რამდენიმე ლეპტოპი და ორი სამონტაჟო ტერმინალი. ქურდებმა ასევე წაიღეს პატარა ფარული კამერა, რომელიც დამაგრებული იყო ძველ ხელჩანთაში, მაშინ როდესაც მათ არ წაუღიათ ორი ძვირადღირებული ახალი „მაკის“ ფირმის კომპიუტერი.[114]

სტუდია „მონიტორის“ დირექტორის, ნინო ზურიაშვილის სიტყვებით, მან და მისმა რეპორტიორებმა დაკარგეს დიდი ხნის კვლევის მასალები, ვიდეომონტაჟი და დოკუმენტაცია. ზურიაშვილი აცხადებს, რომ პოლიციამ დანაშაულის ადგილი დაათვალიერა.[115] გამოძიება მიმდინარეობს.[116]

საქართველოში კრიმინალის უკიდურესად დაბალი მაჩვენებლის და უკიდურესად პოლიტიზირებული გარემოს გათვალისწინებით, ეს დანაშაული უმრავლესობის მხრიდან გამიზნულ ქმედებად იქნა აღქმული, რომლის მიზანი იყო გამოძიებით დაკავებული ჟურნალისტებისთვის ძირის გამოთხრა და მათი საქმიანობის დროებით შეწყვეტა. სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა ხელისუფლებას მოუწოდეს დანაშაულის სათანადოდ გამოძიება.

სტუდია „მონიტორი“ თავის სიუჟეტებში ამხელდა კორუფციის შემთხვევებს და ბიზნეს-სკანდალებს, აშუქებდა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებსა და უსამართლობას, იძიებდა კომპანიების არასწორ ქმედებებს და ახლანდელი და ყოფილი მაღალჩინოსნების და მათი გარემოცვის ბიზნეს-საქმიანობას. „მაესტრო“ ერთადერთი ტელევიზიაა, რომელიც ეთერში უშვებს სტუდია „მონიტორის“ პროდუქციას. სტუდიას საერთაშორისო დონორები აფინანსებენ.

ტელევიზიის მფლობელობის გამჭვირვალობა

ცვლილებები კანონში მაუწყებლობის შესახებ 2012 წლის დასაწყისში შევიდა ძალაში. ამ ცვლილებებით იკრძალება ოფშორული ზონაში რეგისტრირებული კომპანიების მიერ მაუწყებელთა მფლობელობა და მოთხოვნილია სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელთა ბენეფიციარი მფლობელის ვინაობის გამხელა.

---

[112] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ ოდიკაძესთან.
[113] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ფინანსთა სამინისტროს პასუხი ელექტრონული ფოსტით ეროვნული უშიშროების საბჭომ მიაწოდა. 2012 წელი, 1 აგვისტო.
[114] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ ნინო ზურიაშვილთან, 23 ივლისი.
[115] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინტერვიუ ნინო ზურიაშვილთან, 23 ივლისი.
[116] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კომუნიკაცია ეროვნული უშიშროების საბჭოსთან. 2012 წელი, 1 აგვისტო.

პრაქტიკაში კანონში ამ ცვლილებამ ტელევიზიების მფლობელობის გამჭვირვალობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გამოიწვია. ყველა მაუწყებელი კანონის მოთხოვნას ძირითადად ასრულებს. კომუნიკაციების კომისია ვებგვერდზე აქტიურად აქვეყნებს მფლობელთა შესახებ ფორმების დასკანირებულ ვერსიებს, სადაც ლიცენზიის მფლობელთა ბენეფიციარი აქციონერების ვინაობაა მითითებული.[117]

სატელევიზიო კომპანიები, რომლებიც მანამდე ოფშორულ „ფორმალურ" კომპანიებს ეკუთვნოდა, ქართველ ფიზიკურ პირებს გადაეცა. ზოგ შემთხვევაში, ოფიციალური მფლობელი ფაქტობრივი მფლობელის და გადაწყვეტილების მიმღების წარმომადგენელია - ნათესავი ან ახლო მეგობარი, რომელიც პოლიტიკური ფიგურის ნდობით სარგებლობს.

და მაინც, მფლობელობის და ფინანსური გამჭვირვალობის გაზრდას მედიის ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვანი ზრდა არ მოჰყოლია. ტელესივრცე კვლავაც ძლიერ პოლარიზებულია. როგორც ამბობენ, კიდევ უფრო მიკერძოებელი გახდა მას შემდეგ, რაც ოპოზიცია გაერთიანდა ივანიშვილის ირგვლივ და უკეთეს დაფინანსებაზე წვდომა გაუჩნდა.

რუსთავი 2

2011 წლის ბოლომდე, „რუსთავი 2-ის" აქციათა საკონტროლო პაკეტს (70%) ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული ოფშორული კომპანია Degson Limited Ltd ფლობდა, დანარჩენ 30% -„ქართული ინდუსტრიული ჯგუფი", ბიზნეს-ჰოლდინგი, რომელიც პარლამენტის წევრს მმართველი პარტიიდან დავით ბეჟუაშვილს ეკუთვნის (მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებული „ფორმალური" კომპანიის Chemexim International Ltd მეშვეობით). მისი ძმა გელა საქართველოს დაზვერვის სამსახურს ხელმძღვანელობს.[118]

მფლობელთა ცვლილებების შემდეგ, „რუსთავი 2", ასევე გასართობი არხი „მზე", ახლა ლევან ყარამანაშვილს (90%) და გიორგი გეგეშიძეს (10%) ეკუთვნის.[119] მედიაში ყარამანაშვილთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად იხსენებენ მის მონაწილეობას 2011 წლის რუსული პოკერის სერიებში. ყარამანაშვილი ასევე არის საქართველოში სიდიდით მესამე მობილური ოპერატორის „მობიტელის" საბჭოს წევრი. კომპანია „ბილაინის" ბრენდით ოპერირებს.[120] მედიაში წერენ, რომ ლევან ყარამანაშვილი გია ყარამანაშვილის ახლო ნათესავია, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა 2005 წლის გამოსვლაში მეგობრად მოიხსენია, რამდენიმე მედიაწყაროს თანახმად.[121] სტუდია მონიტორის რეპორტაჟმა დაადგინა, რომ ლევან ყარამანაშვილი GMC ჰოლდინგის დირექტორი იყო. ეს იყო ოფშორული კომპანია, რომელიც ფლობდა შპს „ახალი რიყეს", რომელმაც 2006 წელს მთავრობისგან შეიძინა 7 მილიონ აშშ დოლარად ღირებული ქონება - მიწა, რომელიც

[117] ზოგჯერ, ცვლილებები მფლობელობაში კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში მყისიერად არ აისახება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" ბენეფიციარი მფლობელების შესახებ კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტების ტრანსკრიფცია მოახდინა. მონაცემები მოსახერხებელი, იოლად წაკითხვადი ფორმატით გამოქვეყნდა: http://transparency.ge/en/post/general-announcement/georgian-tv-and-radio-owners-revealed.

[118] დავით ბეჟუაშვილის ქონების დეკლარაცია, 20 მაისი, 2012 http://declaration.ge/csb/report/report.seam?id=6988.

[119] ამონაწერი რუსთავი2-ისდოკუმენტიდან. https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=384295&app_id=444810.

[120] „ბილაინი" კვარტალური ანგარიში.12.08.2011, http://about.beeline.ru/media/Documents_for_download/Documents%20Vimpelcom/qr0211.rtf.

[121] Human Rights.ge/Netgazeti.ge: რუსთავი 2 და მზე სააკაშვილის მეგობრის ოჯახის მფლობელობაში 22 თებერვალი 2012, http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14494&lang=eng.

მთავრობამ უკანვე შეისყიდა 2008 წელს, 17 მილიონ აშშ დოლარად. ამ დროს ყარამანაშვილი კომპანიის დირექტორი აღარ იყო.[122]

„რუსთავი 2-ის“ დირექტორი გეგეშიძე არის ტელევიზიის ყოფილი თანამფლობელის და ამჟამად კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის, ირაკლი ჩიქოვანის ახლო ბიზნესპარტნიორი. ორივეს რამდენიმე კომპანიის აქციები აქვს, მათ შორის „მაგი სტილის“. ამ სამშენებლო კომპანიამ ქუთაისში ახალი პარლამენტის მშენებლობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.[123]

ტელეკომპანია იმედი

გიორგი არველაძე „იმედის“ ყველაზე მსხვილი აქციონერი გახდა. იგი აქციების 45%-ს ფლობს. მანამდე იმედის ჰოლდინგ-კომპანიის 90%-ის მფლობელი პანამაში რეგისტრირებული ოფშორული კომპანია RAAK Georgia იყო. 2003 წელს არველაძე პარლამენტში კენჭს იყრიდა ნაციონალური მოძრაობის სიით, მუშაობდა კანონმდებლად და 2005 წელს სააკაშვილის მთავრობაში მაღალი თანამდებობა ეკავა. 2006 წელს იგი ეკონომიკის მინისტრი გახდა.[124] ამ პოზიციაზე მუშაობისას 2007 წელს მან გამოაცხადა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის თანახმადაც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. ამ დროს, მედიამ, მათ შორის „იმედმა“ დროებით მუშაობა შეწყვიტა და იმ დროისათვის ეს ტელევიზია ოლიგარქ ბადრი პატარკაციშვილის მიერ კონტროლირებული ოპოზიციის „ხმა“ იყო.[125] 2008 წლის იანვარში არველაძემ მთავრობა დატოვა. 2009 წელს იგი TV იმედის და რადიო იმედის ჰოლდინგის ჯგუფის - საქართველოს მედიის პროდუქციის ჯგუფის ხელმძღვანელი გახდა.[126]

იმედის 30%-ს ფლობს გიორგი კოხარაშვილი, ბიზნესმენი, რომელსაც აქციები სხვადასხვა საშუალო ზომის ბიზნესში აქვს.[127] „იმედის“ აქციების 15%-ს ფლობს გიორგი მიქელაძე, რომელიც თბილისის უძრავი ქონების განვითარებაში ჩართული კომპანიის Benett and Benett Capital-ის 80%-ის მფლობელია.[128]

აქციების 10% კვლავ რჩება გარდაცვლილი ოლიგარქის და 2008 წლის პრეზიდენტობის კანდიდატის ბადრი პატარკაციშვილის შორეული ნათესავის ჯოზეფ ქეის ხელში. ქეის „იმედზე“ კონტროლი თბილისის სასამართლოს 2008 წლის გადაწყვეტილებით მიენიჭა. ეს გადაწყვეტილება პატარკაციშვილის ოჯახმა არ მოიწონა.[129] (2011 წელს პატარკაციშვილის ოჯახმა და საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ სადავო აქტივების, მათ შორის „TV

---

[122] სტუდია მონიტორი: ბუნდოვანი რეაბილიტაცია, 12 May 2012, http://www.youtube.com/watch?v=YNzxVWoL0Jw.

[123] გეგეშიძესა და ჩიქოვანს შორის საქმიანი კავშირების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2011 წლის ანგარიში: „საქართველოს სარეკლამო ბაზარი“. „მაგისტილის“ ხელშეკრულება და პარლამენტის მშენებლობაში მისი როლი კვლავაც გაურკვეველია, რადგან „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თხოვნის მიუხედავად, შესაბამისი კონტრაქტები არ იქნა მიწოდებული.

[124] Civil.ge: საკაშვილის დიდი ხნის მოკავშირე „იმედი TV–რადიოს“ თავმჯდომარე ხდება“ 14 ივლისი, 2009 www.civil.ge/eng/article.php?id=21231.

[125] http://www.civil.ge/eng/article.php?id=16239. საგანგებო მდგომარეობა საქართველოში, მაუწყებლობა შეწყდა, 2007 წლის 8 ნოემბერი.

[126] http://www.civil.ge/eng/article.php?id=21231.

[127] კოხარაშვილი ასევე ფლობს სხვა ბიზნესების წილებსაც, მათ შორის: A Gas (30%, ახალციხე, ID: 424066423), Geo Snack Service (100%; ID: 404415307), Georgian Investment Holding (100%; ID: 404414102), შპს გეო კირი (30%, ID: 404421719), Geo Construction (55%, ID: 401961748), მესხური სახლი (100%, ID: 404421577), შატილი(Dusheti, 50%, ID: 429319739), კოლმეურნე (ID: 404908356).

[128] http://www.media.ge/en/content/new_owners_of_imedi_tv; Company extract for Benett and Benett Capital, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=430677&app_id=501851; Website of Grato, a real estate development company owned by Benett and Benett Capital, http://grato.ge/index.html.

[129] http://www.civil.ge/eng/article.php?id=19824.

იმედის“ საკითხი მორიგებით დასრულდა. თუმცა თანხა და პირობები საჯაროდ არ გამჟღავნებულა.)[130]

ტეკომპანია **კავკასიის** მფლობელი და მმართველია ნინო ჯანგირაშვილი.

მაესტრო

„მაესტროს“ მფლობელია მომღერალი გიორგი გაჩეჩილაძე (25%), რომელიც ცნობილია სახელით „უცნობი“. იგი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, ლევან გაჩეჩილაძის ძმაა. 25% წილი ეკუთვნის დიზაინერ მაკა ასათიანს, მდიდარი ბიზნესმენის, კოტე გოგელიას ცოლს (2011 წლის ნოემბრამდე ოპოზიციური „ქართული პარტიის“ წამყვანი წევრი იყო.);[131] „მაესტროს“ დამფუძნებელი მამუკა ღლონტი აქციების 15%–ს ფლობს. დანარჩენი აქციონერები არიან ლევან ჩიკვაიძე (15%), გიორგი ებრალიძე (15%) და ეკატერინე აკობია (5%).

მაკა ასათიანის ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ საჯაროდ განაცხადა, რომ ბიზნეს–დავას „მერსედესის“ დილერ ქართულ კომპანიასთან (შპს „აკა“) დაკავშირებით, პოლიტიკური მოტივი ჰქონდა და მაკა ასათიანის „მაესტროს“ აქციონერობასთან იყო დაკავშირებული. მარტში გამართულ პრესკონფერენციაზე გაბუნიამ განაცხადა, რომ ასათიანი „მაესტროს“ აფინანსებს. „იგი ჟურნალისტებს უხდის ხელფასებს, მან შეიძინა ახალი ოფისი და დააფინანსა არხის ტექნიკური აღჭურვილობა.“ წერს media.ge.[132]

გაბუნიას განცხადებით, შპს „აკას“ ლიკვიდაცია, რომლის აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი ასათიანის ოჯახია, ივლისის დასაწყისში დაიწყო. მანამდე კი კომპანიასა და მის მენეჯმენტთან დაკავშირებით ხანგრძლივი დავა მიმდინარეობდა.[133] უზენაესი სასამართლოს 12 თებერვლის გადაწყვეტილებით, აქციების 20% მიენიჭა დავით ძოწენიძეს, რომელმაც თბილისის სასამართლოს გადაწყვეტილებით ასევე მიიღო 900 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდი.[134] ძოწენიძის ადვოკატმა ამ შემთხვევაში ყოველგვარი პოლიტიკური მოტივი გამორიცხა. 28 ივნისს გაბუნიამ განაცხადა, რომ იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა ასათიანს შესთავაზა, რომ ავტომობილების დილერი კომპანიის ირგვლივ არსებული პრობლემები მოგვარდებოდა, თუ იგი „მაესტროს“ დაფინანსებას შეწყვეტდა.[135]

2011 წლის ბოლოს, კომპანიის მფლობელებსა და ეროსი კიწმარიშვილს შორის არსებული დავის შედეგად, „მაესტრო“ პარალიზებული იყო. 2009 წელს ეროსი კიწმარიშვილს სატელევიზიო სადგურის მართვის ექსკლუზიური უფლება მიენიჭა.[136] კვირეების განმავლობაში სადგური რადიო „უცნობის“ სტუდიიდან იმპროვიზირებულ რეჟიმში

---

[130] http://www.civil.ge/eng/article.php?id=23709.

[131] „ქართული პარტიის“ სხვა წამყვანი დამფუძნებლები იყვნენ ყოფილი თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ოქრუაშვილი და „რუსთავი 2“–ის ყოფილი მფლობელი და რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი ეროსი კიწმარიშვილი, ასევე ყოფილი ომბუდსმენი სოზარ სუბარი. “ქართული პარტია კოტე გოგელიასთან კავშირს წყვეტს”, http://www.onlinenews.ge/index.php?id=15982&lang=eng.

[132] Media.ge: დიმიტრი გაბუნია – მაკა ასათიანის ქონება დააყადაღეს „მაესტროს“ გამო, 6 მარტი, 2012;(„გუგლის“ cached ვერსია: http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:W_4GVc5aIZsJ:www.media.ge/en/stories/dimitri_gabunia_lien_has+Dimitri+Gabunia+%E2%80%93+Lien+has+been+Imposed+on+Maka+Asatiani's&cd=1&hl=de&ct=clnk&gl=at).

[133] ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შპს „აკასთვის“ (ID: 204875082) მფლობელთა ამჟამად არსებულ სტრუქტურაზე განახლებულ ინფორმაციას არ შეიცავს.

[134] კვირის პალიტრა: “ეს პოლიტიკური ზეწოლაა”, 2 ივლისი, 2012, გვ. 7; Media.ge: მაესტროს არც მერსედესში და არც სხვა აქტივებში არ გავცვლი! – მაკა ასათიანი. http://www.media.ge/en/stories/ishallnotswapmaestrofor.

[135] კვირის პალიტრა: “ეს პოლიტიკური ზეწოლაა”, 2 ივლისი, 2012, გვ. 7; Media.ge: მაესტროს არც მერსედესში და არც სხვა აქტივებში არ გავცვლი! – მაკა ასათიანი, http://www.media.ge/en/stories/ishallnotswapmaestrofor.

[136] http://www.civil.ge/eng/article.php?id=24276, http://www.civil.ge/eng/article.php?id=24224.

გადმოსცემდა. არხს დროებით სატელიტური გადაცემაც გაეთიშა. კიწმარიშვილსა და კომპანიის მფლობელებს შორის დავა სასამართლოში გრძელდება, „მაესტრო“ კი ჩვეული რეჟიმით მუშაობს.

TV9 (შპს მე–9 არხი) ფლობს კომპანია Accept LLC,[137] რომლის მესაკუთრეც (80%) არის ოპოზიციის ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ცოლი ეკატერინე ხვედელიძე. დანარჩენ 20% ფლობს კახა კობიაშვილი. როგორც მედიაში გაჟღერდა, იგი ბიძინა ივანიშვილის დისშვილია და ივანიშვილთან დაკავშირებულ რამდენიმე კომპანიას მართავს, მათ შორის Georgian Holding and Holding Twenty First.[138] ტელევიზიას არ აქვს სიხშირული მაუწყებლობის ლიცენზია. იგი გადაიცემა სატელიტით და „Global TV“–ის ქსელით.

მაისში “TV9”–მ 1 მილიონ აშშ დოლარად იყიდა გორის სატელევიზიო სადგურ „თრიალეთის“ აქციების 10%. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ “TV9”–ის მენეჯმენტმა განუცხადა, რომ სადგური დაინტერესებულია სხვა იმ ადგილობრივი ტელევიზიების წილების შესყიდვით, რომელთაც სიხშირული მაუწყებლობის ლიცენზია აქვთ. “TV9”–ის დირექტორმა კახა ბექაურმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განუცხადა, რომ რეგიონული სატელევიზიო სადგურების ყიდვისას, მისი კომპანია სარედაქციო დამოუკიდებლობაში არ ჩაერევა. მათ უბრალოდ თხოვენ, რომ “TV9”–ის მთავარი, საღამოს გამოშვების რეტრანსლიაცია მოახდინონ.[139]

თრიალეთი

გორის ადგილობრივ სატელევიზიო სადგურს ფლობენ ძმები ჯონდო (50%) და ბადრი (20%) ნანიტაშვილები. ნინო გაგნიძე ფლობს 20%. 2012 წლის მაისში TV9–მ აქციების 10% შეიძინა, რის შედეგადაც აქციების 8%–ის მფლობელი გახდა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე, 2%–ისა კი – კახა კობიაშვილი. ამ გარიგების მერე, თრიალეთმა „TV9“–ის მთავარი საინფორმაციო გამოშვების რეტრანსლირება დაიწყო. სადგურს შიდა ქართლის რეგიონის სიხშირული მაუწყებლობის ლიცენზია აქვს. [140]

25–ე არხი

ბათუმის ამ ტელესადგურს გიორგი სურმანიძე ფლობს (50%). სხვა მფლობელები არიან მერაბ მერკვილაძე (25%) და მალხაზ ვერძაძე (25%). აპრილში გაზეთი „ბათუმელები“ წერდა იმ ქონების შესახებ, რომელიც საქართველოს მთავრობამ უფასოდ გადასცა 25–ე არხის მფლობელების ნათესავებს. ერთ–ერთმა მფლობელმა გიორგი სურმანიძემ გაზეთს განუცხადა, რომ მისი ნათესავისთვის გადაცემული უძრავი ქონება მის ტელეარხთან კავშირში არ იყო.[141]

---

[137] ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: შპს მე–9 არხი, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=421345&app_id=490972; შპს Accept, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=369086&app_id=425615.

[138] Netgazeti: ივანიშვილის ბოლო შანსი საქართველოში, June 14, 2012, http://netgazeti.ge/GE/105/News/10305; ამონაწერი აქცეპტის შესახებ საჯარო რეესტრიდან. https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=369086&app_id=425615.

[139] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ TV9–ის მენეჯმენტთან.

[140] http://www.media.ge/en/stories/channel9bought10oftvandr.

[141] Media.ge: 25–ე არხის მფლობელები მთავრობისგან ქონებას იღებენ – გაზეთი „ბათუმელები“, 30 აპრილი, 2012, http://www.media.ge/en/stories/tv_25_founders_receive_r.

რეალ ტვ–ის მფლობელია ლია დოლიძე. მის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. 2011 წელს media.ge შეეცადა მასთან დაკავშირებას, მაგრამ უშედეგოდ.[142]

რეგიონ TV/პიკ

იანვარში რუსულენოვანი რეგიონ TV–ის კომპანიას, შპს ალანიას საზოგადოებრივი მაუწყებლის რუსულენოვანი საინფორმაციო არხის პიკ–ის ერთი წლით მართვის უფლება მიეცა.[143] რამდენიმე კვირის შემდეგ, თებერვალში რეგიონ TV–მ ტრანსლაცია შეწყვიტა.

შპს ალანიას დირექტორი ალექსანდრე ფარულავა რამდენიმე ტელეარხზე მუშაობდა, მათ შორის „მზეზე" და „პიკ"–ზე. მისი მეუღლე, ნინო შუბლაძე, რუსთავი 2–ის საინფორმაციოს უფროსია. კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გაგზავნილი დოკუმენტის თანახმად, შპს „ალანიას" ოფიციალურად ფლობენ: მამუკა ტატოშვილი (55%), გიორგი აღდგომელაძე, (15%), თამაზ გუდაძე (15%) და ნიკოლოზ ტაბიძე (15%).[144] ალანია/რეგიონ TV–ის ყოფილი დირექტორი ტატოშვილი ასევე არის საკაბელო ოპერატორის GMC–ის მფლობელი.

პიკ–მა ახალი პროგრამები ეთერში 2011 წელს გაუშვა. არხი ძირითადად მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფინანსდება. ერთი წლის განმავლობაში „პიკს" კომპანია K-1 მართავდა. ეს კომპანია დაარსეს რადიოსადგურ „ეხო მოსკვის" (ოპოზიციური რუსული რადიოსადგური) თბილისის რეპორტიორმა ეკატერინე კოტრიკაძემ და ბრიტანელმა ჟურნალისტმა რობერტ პარსონსმა. იგი „პიკიდან" France 24–ზე გადავიდა სამუშაოდ. პარსონსის მიერ „პიკის" დატოვებამ ეჭვები აღძრა იმასთან დაკავშირებით, შეძლებდა თუ არა „პიკი" სარედაქციო დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. რეგიონ TV–ის ოპერატორი შპს „ალანია" „პიკის" მართვის ტენდერში მონაწილე ერთადერთი კომპანია იყო. 2012 წელს „ალანიამ" „პიკის" მართვისთვის 14 მილიონი ლარი მიიღო.[145]

რეგიონ TV–ს და მის წინამორბედ „ალანიას" პოლიტიკურ იარაღად ყოფნის მემკვიდრეობა ერგოთ. „ალანია" 2005 წელს გავიდა ეთერში. თბილისში მდებარე ეს ტელესადგური რუსულენოვანი საინფორმაციო გამოშვებებით სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაზე იყო გამიზნული. გია ჭანტურია, რომელიც დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორია, რამდენიმე წელი „ალანიაში" მუშაობდა. მაშინდელმა დამკვირვებლებმა „ალანიას" „პრო–თბილისური" არხი უწოდეს[146] და საქართველოს მთავრობის „შინაური ცხოველი" ("pet project")[147] შეარქვეს, ჩათვალეს რა მთავრობასთან ძლიერ დაახლოებულად.[148] 2008 წლამდე, სადგური ლიცენზიის გარეშე მუშაობდა, მისი მფლობელობა და ფინანსები „საიდუმლოს საბურველში იყო გახვეული",[149] როგორც ეს IREX–ის 2009 წლის ანგარიშში იყო აღნიშნული. როცა „პიკის" წარუმატებელი წინამორბედი „პირველი კავკასიური" ეთერში გავიდა 2010 წლის დასაწყისში, „ალანია TV"-მ განიცადა რებრენდინგი და გახდა „რეგიონ TV.".

---

[142] http://www.media.ge/en/node/42501.
[143] http://www.media.ge/en/content/alania_to_manage_pik.
[144] http://gncc.ge/declarations/alania.pdf; https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=406152&app_id=472841.
[145] http://liberali.ge/blog/lika-chakhunashvili/pirveli-kavkasiuri-reorganizatsia-7-dgheshi.
[146] http://www.crisisgroup.org/~/media/Files/europe/183_georgia_s_south_ossetia_conflict_make_haste_slowly.ashx.
[147] http://www.irex.org/system/files/EE_MSI_2010_Georgia.pdf.
[148] http://www.globaljournalist.org/stories/2008/01/01/alania-tv/.
[149] http://www.irex.org/system/files/EE_MSI_09_cauc_Georgia.pdf

ფინანსური გამჭვირვალობა

მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებებმა, რომლებიც 2012 წლის დასაწყისში შევიდა ძალაში, სამაუწყებლო ლიცენზიების მფლობელებს ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების ახალი მოთხოვნები წაუყენა. მაუწყებლებს მოეთხოვებათ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარუდგინონ ანგარიში რეკლამიდან, სპონსორობიდან, ტელეშოფინგიდან, შემოწირულობებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ.[150] ამ ინფორმაციას კომისია აქტიურად არ აქვეყნებს, თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ თხოვნისამებრ შესაბამისი მონაცემები მიაწოდა.[151]

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წლიური ანგარიშის თანახმად, 2011 წელს ტელე და რადიოსადგურებმა 88 მილიონი ლარის შემოსავლები აჩვენეს, რაც 2010 წლის მაჩვენებელს 12.8 მილიონი ლარით აღემატება. მაუწყებლებს შორის რეკლამა შემოსავლების 68.8%-ს შეადგენდა, სპონსორობიდან მიღებული შემოსავალი მთლიანი შემოსავლის 12.6%, შემოწირულობები - 1.2%, ტელეშოფინგი - 7%. სხვა წყაროებიდან, მათ შორის ქონების და აღჭურვილობის ლიზინგიდან, ტექნიკური მომსახურებიდან და პროგრამების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი 16.7% შეადგენდა.[152]

იმედი, რუსთავი 2

გარკვეული სატელევიზიო სადგურების შესახებ არსებული ფინანსური მონაცემები აჩვენებს, რომ, როცა საქმე შემოსავლებზე მიდგება, „იმედი“ და „რუსთავი 2“ დანარჩენ არხებთან შედარებით სულ სხვა ლიგაში თამაშობენ.[153] 2011 წელს „რუსთავი 2-მა“ შემოსავლების სახით 39,294,999, ლარი აჩვენა, „იმედმა“ - 28,132,817 ლარი. და მაინც, ორივე სადგურის შემოსავლები (ანგარიშგების მიხედვით) 2012 წლის იანვარ-აპრილში დაეცა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. „რუსთავი 2-ის“ შემოსავლები 2011 წლის პირველ 4 თვეში 7.7 მილიონი ლარიდან 6.7 მილიონ ლარამდე ჩამოვიდა 2012 წელს, რადგან რეკლამებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავალი შემცირდა, სპონსორობიდან მიღებული შემოსავალი კი გაიზარდა. ამის მსგავსად, იმავე პერიოდში „იმედის“ შემოსავალი 7.1 მილიონი ლარიდან 6.4 მილიონ ლარამდე შემცირდა, რეკლამებიდან და ტელეშოფინგიდან მიღებული შემოსავლები შემცირდა, სპონსორობიდან მიღებული კი გაიზარდა.

---

[150] კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 70 (4).

[151] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ რამდენიმე კერძო ტელევიზიის მონაცემები ითხოვა, რომლებიც ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებენ: რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, კავკასია, რეალ ტვ, 25-ე არხი (ბათუმი), თრიალეთი (გორი). ამ მონაცემებით განსაზღვრულ დროის მონაკვეთში TV9 ჯერჯერობით ეთერში არ იყო. წინა წლებში კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უარი თქვა ცალკეული ლიცენზიის მფლობელების ფინანსური ინფორმაციის გაცემაზე, არგუმენტად კი ის მოიყვანა, რომ მონაცემები დაცული იყო, როგორც კომერციული საიდუმლოება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ რამდენიმე თხოვნა ლიცენზიების მფლობელთა ფინანსური მონაცემების შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე კომისიამ სრულად დააკმაყოფილა. ინფორმაცია ნაბეჭდი ფორმით გაიცა.

[152] კომუნიკაციების ეროვნული კომისია: წლიური ანგარიში 2011, გვ. 37, http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=3100.

[153] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ მონაცემები მხოლოდ გარკვეულ არხებზე მოითხოვა, რომლებიც მიმდინარე ამბებს აშუქებენ.

ცხრილი: შემოსავლები სატელევიზიო სადგურების მიხედვით (ლარი)[154]

		2011 სულ	იან-აპრ 2011	იან-აპრ 2012
რუსთავი2	მთლ. შემოს.	39,294,999	7,774,059	6,728,390
	რეკლამა	27,598,946	5,884,325	5,413,197
	სპონსორობა	3,665,089	890,625	1,052,540
	სხვა	8,030,970	999,110	262,656
ტვ იმედი	მთლ. შემოს.	28,132,817	7,161,771	6,441,603
	რეკლამა	23,336,818	6,112,225	5,391,213
	სპონსორობა	4,184,341	884,355	1,031,593
	ტელეშოფინგი	464,595	165,190	18,798
მაესტრო	მთლ შემოს	285,005	50,607	280,811
25 არხი	მთლ შემოს	692,412	113,957	184,724
	რეკლამა	517,505	76,583	184,724
	სხვა	151,696	14,264	0
კავკასია	მთლ შემოს	383,477	123,036	303,553
	რეკლამა	295,690	93,005	198,509
	ტელეშოფინგი	16,531	16,531	0
	სხვა	38,032	13,500	105,044
	სამაუწყ.ქირა	25,424	0	0
	აღჭურვ. ქირა	8,000	0	0
თრიალეთი	მთლ. შემოს.	245,084	72,188	81,602
რეალ ტვ	მთლ. შემოს.	267,243	62,929	167,881
სულ	**მთლ შემოს**	**69,301,037**	**15,358,547**	**14,188,564**

„იმედის“ და „რუსთავი 2–ის“ სარეკლამო შემოსავლები ერთმანეთის პარალელურად იზრდებოდა. ამ ფაქტის ერთგვარი ახსნა ისაა, რომ ორივე სადგური (ასევე რეალ TV და სხვა შედარებით მცირე გასართობი არხები) იყენებენ ერთსა და იმავე ექსკლუზიურ პარტნიორს, გენერალ მედიას, რომლის საშუალებითაც სარეკლამო შემოსავლებს მართავენ.[155] 2011 წლის ივლისსა და ნოემბერში რუსთავი 2–ის შემოსავლებმა პიკს მიაღწია, რომლებიც დაუზუსტებელი წყაროებიდან მოდიოდა (იხ. გრაფა ქვემოთ). 2011 წლის იანვარსა და 2012 წლის აპრილს შორის პერიოდში, „რუსთავი 2–ის“ არასარეკლამო შემოსავალმა 8 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მისი მთლიანი შემოსავლის მეხუთედია. „იმედს“ ასეთი შემოსავალი არ უჩვენებია.

„იმედის“ და „რუსთავის“ სარეკლამო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი შესაძლოა მთავრობის სარეკლამო კამპანიებიდან მოდიოდეს, რომელიც გადასახადის გადამხდელთა სახსრებიდან ფინანსდება, თუმცა ეროვნულ ტელეარხებზე სამთავრობო რეკლამის მოცულობის შესახებ საჯარო ფინანსური მონაცემები არ არსებობს.[156]

[154] კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მოწოდებული მონაცემები.
[155] ჯენერალ მედიას და სატელევიზიო რეკლამის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2011 წლის ანგარიში: საქართველოს სარეკლამო ბაზარი, http://transparency.ge/en/advertising.
[156] კერძო ტელეარხებს შეუძლიათ გაუშვან საჯარო სამსახურების განცხადებები, ე.წ. სოციალური რეკლამა, თანაც ისე, რომ არ მიიღონ ფინანსური კომპენსაცია. და მაინც, რთულია, თუ არა შეუძლებელი, ერთმანეთისგან გაარჩიო უფასო საჯარო სამსახურის განცხადებები და სამთავრობო სტრუქტურების ფასიანი სარეკლამო კამპანიები.

<u>დიაგრამა: იმედის და რუსთავი 2–ის ანგარიშგებაში ნაჩვენები შემოსავლები თვეების მიხედვით (ლარი)[157]</u>



კავკასია, მაესტრო, რეალ TV, თრიალეთი 25–ე არხი

იმ მცირე არხებს შორის, რომლებიც საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებენ, ყველაზე მაღალი შემოსავალი, 692,412 ლარი, 2011 წელს 25–ე არხმა აჩვენა. კავკასიას 383,677 ლარი ჰქონდა, მაესტროს – 285,005 ლარი, რეალ TV–ს 267,243 , ხოლო „თრიალეთს“ – 245,084 ლარი.

„მაესტროს“ განცხადებით ტელევიზიის თანამფლობელის მაკა ასათიანის ინვესტიციის დახმარებით 2011 წლის ნოემბრიდან 1.5 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ტექნიკური აპარატურის შესყიდვა განახორციელდა. ეს შემოსავალი კი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გავრცელებულ ანგარიშში არ არის ასახული. ზოგადად, გაუგებარია, ამ არხის დეკლარირებულ შემოსავლებში ასახულია თუ არა მფლობელების ნივთიერი და ფინანსური შენატანები, რადგან მათი ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელ აუდიტს არ ექვემდებარება.

ტელევიზიების შემოსავალი თვიდან თვემდე ძლიერ მერყეობს. „კავკასიის“ შემთხვევაში, 2011 წლის ოქტომბერსა და 2012 წლის იანვარში მათი შემოსავლები 23,000 ლარი იყო, აპრილში კი 143 000 ლარს მიაღწია. 2011 წლის აგვისტოსა და სექტემბერში შემოსავლების პიკი ჰქონდა 25–ე არხს, (იხ. დიაგრამა ქვემოთ). მისი შემოსავლები შედგებოდა როგორც სარეკლამო, ასევე სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისგან. არხი შემოსავალს იღებს მესამე მხარეზე პროგრამების გაქირავებიდან, მათ შორისაა „წინააღმდეგობრივი“ ჯგუფი ობიექტ–TV.[158]

პირველი ოთხი თვის შემოსავლებს თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ 2011 წელს „მაესტროს“ შემოსავლები 50,607 ლარი იყო, 2012 წელს კი 280,811 ლარამდე გაიზარდა.[159] მაესტროს განცხადებით ტელეკომპანიამ მიმდინარე წლის მარტი-ივნისის თვეში რეკლამიდან შემოსავალი 280, 811 ლარი მიიღო.[160] „კავკასიამაც“ იგივე პოზიტიური ტრენდი აჩვენა. თუ

[157] კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემები.
[158] Media.ge: 25–ე არხი სატელიტურ მაუწყებლობას იწყებს, 6 სექტემბერი, 2011, http://www.media.ge/en/node/42240.
[159] კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად.
[160] Civil.ge: http://civil.ge/eng/article.php?id=25057.

2011 წელს მისი შემოსავლები 123,036 ლარი იყო, ახლა 303,553 ლარია. ეს ზრდა სარეკლამო და სხვა შემოსავლების ზრდით იყო განპირობებული. მცირე არხების სარეკლამო შემოსავლების ზრდა გამამხნევებელი ნიშანია და შეიძლება ფინანსური მდგრადობისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯადაც ჩაითვალოს, თუ რასაკვირველია ამ შემოსავლებს ერთჯერადი სახე არ ექნება და ზოგად ტენდენციად ჩამოყალიბდება.

მაესტროსა და კავკასიის მენეჯერთა განცხადებით კერძო სექტორის მიერ რეკლამის განთავსების მაჩვენებელი ძალიან დაბალია, მაშინ როდესაც შემოსავლების ზრდა ძირითადად პოლიტიკური რეკლამის განთავსებით არის განპირობებული.[161]

კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის განყოფილების მიერ გაცემული ინფორმაციის მიხედვით, 2011 წლის დეკემბრის ბოლოს „მაესტრომ“ „ქართული ოცნებისგან“ 195,622 ლარი მიიღო (წლის შემოსავლის 68%). ეს მოხდა პარტიების დაფინანსების მკაცრი რეგულირების შემოღებამდე რამდენიმე დღით ადრე.[162]

2011 წლის ბოლოს „კავკასიამ“ „ქართული ოცნებისგან“ 147,893 ლარის ოდენობის სარეკლამო თანხები მიიღო, რაც მისი წლის შემოსავლის 38.6% შეადგენდა. კავკასიამ მიღებული თანხა ახსნა, როგორც 3–თვიანი სარეკლამო ხელშეკრულების ნაწილი.[163] „თრიალეთმა“ 10,000 ლარი მიიღო, როგორც აღნიშნეს, ივანიშვილის სიტყვით გამოსვლის ტრანსლირებისათვის.

<u>**დიაგრამა: შედარებით მცირე სატელევიზიო სადგურების ანგარიშგებაში ნაჩვენები შემოსავლები თვეების მიხედვით. (ლარი)[164]**</u>



[161] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ესაუბრა ნინო ჯანგირაშვილსა (კავკასია) და ნელი ბეგიაშვილს (მაესტრო). 6 აგვისტო, 2012 წელი.
[162] კონტროლის პალატა: „ქართული ოცნების“ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების ფორმები“: მედიის ხარჯები, 10 იანვარი, 2012, http://control.ge/files/upload-file/pdf/media.qartuli-ocneba.pdf; Civil.ge: 16.7 მილიონი ლარი ივანიშვილის სახალხო მოძრაობისთვის, 10 იანვარი, 2012, http://www.civil.ge/eng/article.php?id=24342.
[163] Media.ge: „ქართული ოცნების“ სარეკლამო ხარჯები, 10 იანვარი 2012, http://www.media.ge/en/content/georgian_dream.
[164] კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემები.

გადაუხდელი გადასახადები

ივლისში საქართველოს შემოსავლების სამსახურმა, სამთავრობო უწყება რომელსაც გადასახადების ამოღება ევალება, თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, სადაც იმ იურიდიული პირების ჩამონათვალი იყოს, რომელთაც სახელმწიფოს მიმართ დავალიანება ჰქონდათ.[165] მონაცემებმა აჩვენა, რომ „იმედს“ და „რუსთავი 2-ს“ რამდენიმე მილიონი ლარის საგადასახადო დავალიანება ჰქონდათ დაგროვილი 2010 წლის შემდეგ, როცა საგადასახადო ამნისტიის შედეგად საქართველოს ტელესადგურებს 36 მილიონი ლარის დავალიანებები ჩამოეწერა.

შემოსავლების სამსახურის დოკუმენტების თანახმად, ტელეიმედს 13.9 მილიონი ლარის, „რუსთავი 2-ს“ 5.5 მილიონი ლარის, საზოგადოებრივ მაუწყებელს კი 3.5 მილიონი ლარის დავალიანება აქვს. „თრიალეთს“ და “TV9”-ს 10 ათას ლარზე ნაკლები დავალიანება აქვთ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ვერ შეძლო სხვა სატელევიზიო სადგურების საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

2010 წლის საგადასახადო ამნისტია ყველაზე მეტად ეროვნულ ტელეარხებს შეეხო. „მაესტრომ“ და „კავკასიამ“ განაცხადეს, რომ იმ დროისათვის არ ჰქონდათ საგადასახადო დავალიანება. ამნისტიით გარკვეულწილად მთავრობისადმი კრიტიულმა ტელეარხებმაც ისარგებლეს. 25-ე არხი 277,500 ლარის დავალიანებისგან იქნა გათავისუფლებული. ეს დავალიანება ამ ბათუმურ არხის ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნიდა. „თრიალეთს“ კი 45 ათასი ლარი აპატიეს.[166]

პირების ვინაობა, რომელთაც ამნისტია შეეხო, საჯაროდ არ გაცხადებულა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ამნისტიის შედეგად ტელეარხები არათანაბარ სათამაშო მოედანზე აღმოჩნდებოდნენ, რადგან მთავრობასთან ასოცირებულ არხებს უდიდესი დავალიანებები აპატიეს. ამან კი ისინი მომავალი ამნისტიის იმედით მომავალშიც გადაუხდელობისკენ განაწყო. ამ დროს, მთავრობისადმი კრიტიკულმა არხებმა გადასახადები სრულად დაფარეს ან მათი უდიდესი ნაწილი გადაიხადეს, რადგან შიშობდნენ, რომ შემოსავლების სამსახური დააჯარიმებდა ან დახურავდა.[167] შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე დროებით არსებული მონაცემები ამტკიცებს, რომ მათი შიშები უსაფუძვლო არ ყოფილა.

ნდობის საკითხი

ხალხის ნდობა მედიისადმი ბოლო წლებში უმნიშვნელოდ შემცირდა. 2008 წელს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევაში რესპონდენტთა 50%–მა აღნიშნა, რომ სრულად ან ძალიან ენდობოდნენ მედიას (16%–მა აღნიშნა, რომ მცირედ, ან საერთოდ არ ენდობოდა).[168] იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც

---

[165] „კავკასია“: “დღეს” (20:30 საინფორმაციო გამოშვება), 18 ივლისი, 2012. ანგარიშში ნახსენებია დოკუმენტები, რომლებიც კავკასიამ აიღო შემოსავლების სამსახურის ვებგვერდიდან http://rs.ge/5559. ამონაწერები მონაცემთა ბაზიდან, რომლებიც ონლაინ რეჟიმიდან მოიხსნა 17 ივლისს, „კავკასიამ“ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ გადასცა. „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ ვერ გაარკვია, ჰქონდა თუ არა სხვა ტელესადგურებს ვალი, და თუ ჰქონდათ, რამდენი.

[166] Media.ge: 36 მილიონი ლარის საგადასახადო ამნისტის სატელევიზიო სადგურებისათვის 3 აპრილი, 2010, www.media.ge/en/node/36850.

[167] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“: საგადასახადო ამნისტია ქართული ტელეარხებისათვის; პრო-მთავრობისეული მაუწყებლობის სუბსიდია? 8 აპრილი, 2010, http://transparency.ge/en/node/748.

[168] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი: კავკასიის ბარომეტრი - საქართველო 2008, http://www.crrc.ge/oda/?dataset=11&row=143.

სრულად ან ძალიან ენდობოდნენ მედიას, 2011 წელს 32%–მდე შემცირდა (13% მცირედ ან საერთოდ არ ენდობა მედიას).[169]

გასულ წელს ძირითადი ტელეარხებისადმი ნდობა მკვეთრად დაეცა. 2011 წელს ტელემაყურებელთა ნახევარზე მეტმა თქვა, რომ ძალიან ენდობა იმედს და რუსთავი 2–ს, რაც ალბათ ამ არხების მაღალი შეღწევადობითაა განპირობებული. ორივე არხი, რომელსაც ძალიან ენდობიან, რესპონდენტების მესამედმა დაასახელა.[170] ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის 2012 წლის მონაცემებით, მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედი ენდობა ორ უმსხვილეს არხს. 1 არხს მის კონკურენტებთან შედარებით ოდნავ ნაკლებად ენდობიან. ამ მონაცემებიდან ისიც ირკვევა, რომ მოსახლეობის მხოლოდ მეხუთედი არ ენდობა „იმედს“ და „რუსთავი 2-ს“. ამავდროულად, ადგილობრივი არხები შედარებით მაღალი ნდობით გამოირჩევიან, მათი აუდიტორიის მხრიდან მათ მიმართ ნდობის უქონლობაც ნაკლებია.

<u>დიაგრამა: რამდენად ენდობით საინფორმაციო გამოშვებებს და გადაცემებს მიმდინარე მოვლენების შესახებ ...–ზე?</u>[171]



ის, თუ როგორი აღქმა აქვთ მოქალაქეებს ტელევიზიების დაფინანსების შესახებ, აჩვენებს, რომ არხების უმეტესობას მოსახლეობის დიდი ნაწილი უყურებს, როგორც დაწესებულებებს, რომელთაც პოლიტიკური კავშირები აქვთ მთავრობასთან ან ოპოზიციასთან.

---

[169] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი: კავკასიის ბარომეტრი - საქართველო 2011, http://www.crrc.ge/oda/?dataset=16&row=120&column=1.

[170] სხვა არხებმა მიიღეს 3 %, 14% განაცხადა „არა“ და ცხრა პროცენტმა უარი თქვა კითხვის გაცემაზე. კითხვა დასმული იყო იმ პირთა მიმართ ვინც ტელევიზორს უცქერს. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, მედია კითხვარი 2011 წელი, http://www.crrc.ge/oda/?dataset=7&row=253.

[171] ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი/კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი: საზოგადოებრივი აზრი საქართველოში 2012



ქართველების უმეტესობას მიაჩნია, რომ ტელეარხების მფლობელების ზეგავლენა სარედაქციო დამოუკიდებლობაზე დიდია. 36% ამბობს, რომ მათი აზრით, მფლობელები დიდ ზეგავლენას ახდენენ იმაზე, თუ რას აჩვენებენ საინფორმაციო გამოშვებებში, 28% ამბობს, რომ ეს ზეგავლენა მცირეა, (31% ამბობს, რომ არ იცის, 4%–ის აზრით, მფლობელის ფაქტორი საინფორმაციო გამოშვებებზე ზეგავლენას არ ახდენს).[172]

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის 2012 წლის კვლევაში გამოკითხულთა 60%-ზე მეტი იმედს და რუსთავი 2-ს მთავრობის მხარდაჭერად აღიქვამს. 54% საზოგადოებრივ მაუწყებელსაც პრო-მთავრობისეულად მიიჩნევს. მას რესპონდენტთა მხოლოდ 9% აღიქვამს ნეიტრალურად. „მაესტრო“, „კავკასია“ და “TV9” ოპოზიციის მომხრეებად ითვლებიან. ბევრს მოსაზრება არ გააჩნია ამ არხების პოლიტიკური პოზიციის შესახებ, ალბათ იმიტომ, რომ ბევრ რესპონდენტს ამ არხებზე წვდომა არ აქვს.

ადგილობრივ დონეზე, ზოგიერთი ტელეარხი: „ოდიში“ ზუგდიდში, „რიონი“ ქუთაისში თუ მე-9 ტალღა ფოთში ამ ქალაქებში მცხოვრებ რესპონდენტთა დიდი ნაწილის აზრით, მთავრობის მომხრეებად აღიქმება. ისეთი ტელეარხები, როგორიცაა 25-ე არხი ბათუმში და „თრიალეთი“ გორში, ოპოზიციის მომხრეებად ითვლება, მიმდინარე მოვლენების შესახებ მათ მიერ მომზადებული პროგრამების გამო.

[172] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მედიის კვლევა 2011, წყარო http://crrc.ge/oda.

<u>დიაგრამა: ტელეარხების მიმდინარე მოვლენების გაშუქებასთან დაკავშირებული აღქმა და შეხედულებები[173]</u>



კვლევაში ხაზგასმითაა აღნიშნული ქართული ტელესივრცის პოლიტიკური პოლარიზაცია: ყველა ტელეარხი, რომელიც მიმდინარე მოვლენებს აშუქებს როგორც ქვეყნის, ასევე ადგილობრივ დონეზე, ან ერთი და ან მეორე პოლიტიკური ბანაკის მომხრედ ითვლება. არც ერთი არხი (საპატრიარქოს არხის გარდა), მათ შორის არც საზოგადოებრივი მაუწყებლის არხები, არ ითვლება ჭეშმარიტად დამოუკიდებელ მედიაერთეულებად, რომლებიც დაბალანსებულ საინფორმაციო დაფარვას გვთავაზობენ, სადაც ორივე პოლიტიკური ბანაკი თანაბრადაა პასუხისმგებელი.

[173] ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი/კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი: საზოგადოებრივი აზრი საქართველოში 2012. „როგორ გგონიათ, შემდეგი ქართული ტელეარხების მიერ მომზადებული საინფორმაციო გამოშვებები და მიმდინარე ამბების გაშუქება უმეტესად მთავრობის ინტერესებს ასახავს, ოპოზიციის თუ არცერთის?“